# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№81 (9761) 2024 წლის 10 ივლისი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


# ნაცებმა სააკაშვილი კიდევ ერთხელ მოატყუეს!



როგორც ჭეშმარიტ სულელებს შეეფერება, თავიანთი სიაფანდლობა თავად დაიჯერეს



2

## ამერიკა „მოუთმენლად ელის“ საქართველოსთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობას 2025 წელს!..



4

## რუსეთ-უკრაინის ომს პირველად გამოუჩნდა მშვიდობის პირი...

ამერიკას არ სურს ფლორიდის მახლობლად ასეთი გემების ხილვა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქვეყნის დღევანდელი ხელმძღვანელობა მდგომარეობას ვერ აკონტროლებს...

დონალდ ტრამპი



8

დასანანი და არამეგობრული ნაბიჯი პარტნიორის მხრიდან – ასე აფასებს „ქართული ოცნება“ ევროკავშირის გადაწყვეტილებას, გაყინოს 30 მილიონი ევრო, რომლის გადმორიცხვაც, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის იგეგმებოდა.

ევროკავშირის ელჩის, პაველ ჰერჩინსკის ინფორმაციით, ევროკავშირის პირდაპირი დახმარება საქართველოს მთავრობისადმი ეტაპობრივად შემცირდება და მიმართული იქნება სამოქალაქო საზოგადოების და მედიის მხარდასაჭერად.

## ევროკავშირმა 30 მილიონი ევრო გაგვიყინა“!



დიდი მადლობა ბატონო ჰერჩინსკი!

## კახა კალაძე: საქართველო ვერ იქნება ვინმეს ვასალი!..

4

## სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ!



სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს 104 877 000 ლარი გამოეყოფა.

ინფორმაციას საქართველოს მთავრობა ავრცელებს.

მათივე ცნობით, შესაბამის განკარგულებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ხელი უკვე მოაწერა.

## ფასების შეკავება თანდათან რთული ხდება, ინფლაცია ტემპს იკრეფს

5

## პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული კონკურსის პირობა კანონს ეწინააღმდეგება



6

## საქართველოს სახალხო არტისტის ილია ზაქაიძის დღე დუშეთში




12

# დიდი ერთობა არ შედგა!

## დაანონსებული 8 ივლისი ოპოზიციამ ჩააგდო! სამაგიეროდ, ნაცებმა სააკაშვილი კიდევ ერთხელ მოატყუეს!



**8 ივლისი პოლიტიკურ კალენდარში ახალი დიდი გაერთიანების რიცხვი უნდა ყოფილიყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ოპოზიციამ ამომრჩეველი კიდევ ერთხელ მოატყუა. სამაგიეროდ, ერთიანობის ილუზიის და სიახლის შექმნის მცდელობას „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს.**

„ნაციონალურ მოძრაობას“ ყრილობამდე ბოლო დავალება მიხეილ სააკაშვილმა სასამართლო სხდომიდან 8 ივლისს მისცა. მთავარი გზავნილი მისი პარტიის გარშემო ახალი სახეების შეკრება იყო. მსჯავრდებული ექსპრეზიდენტი მიიჩნევს, რომ თუ ოპოზიციური პარტიები ერთობას ვერ შეძლებენ, „ნაციონალური მოძრაობის“ სამიზნე საზოგადოების აქტიური სახეები უნდა იყვნენ.

პარტიის ლიდერებმა „ბელადის“ დავალება „შეასრულეს“, დიდი ერთიანობა ვერა, მაგრამ „ერთიანობა საქართველოს გადარჩენისთვის“ – სახელწოდებით „ახალი პოლიტიკური პლატფორმა“ შექმნეს, რომლის პრეზენტაცია 8 ივლისს საღამოს გაიმართა. ე.წ. „ერთიანობის“ საარჩევნო ნომერი – 5 იქნება.



პლატფორმის წევრები **თინა ბოკუჩავამ** გააცნო შეკრებილებს, ესენი არიან: **გია ჯაფარიძე** – პოლიტოლოგი, **თამარ კორძაია** – დამოუკიდებელი დეპუტატი, **სოფო ჯაფარიძე** – მიხეილ სააკაშვილის პირადი წარმომადგენელი, **ლაშა ბაქრაძე** – ლიტერატურათმცოდნე, **არმაზ ახვლედიანი** – დამოუკიდებელი დეპუტატი, **გიორგი ვაშაძე** – სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერი, **ირაკლი ფავლენიშვილი** – ენმ-ის წევრი.

**თინა ბოკუჩავა** ამბობს, რომ ახლა არა დანაწევრების, არამედ ერთიანობის დროა.

2024 წლის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობასთან“ რაიმე სახის კონფიგურაცია ოპოზიციის ნაწილისთვის მიუღებელია. ხაზარაძე-ჯაფარიძე, გვარამია-მელია, ზურა-გირჩი ჯაფარიძე და ელენე ხოშტარია სხვა ერთობისთვის ემზადებიან. როგორც მედიისთვის ცნობილია, 4 პოლიტიკური პარტია მოლაპარაკებების დასრულების ეტაპზეა. პარტია „ახალის“ წევრები დღეს მედიასთან არ გამოჩენილან, თუმცა გასულ კვირას სწორედ გვარამია-მელიას თანაგუნდელებმა დაადასტურეს, რომ „გირჩი – მეტი თავისუფლებასთან“, „დროასთან“ და „ლელოსთან“ კონსულტაციებს გადიან, მათ შორის მთავარი საკითხი საერთო სიის შედგენაა.

„ლელოც“ და პარტია „ახალიც“ „ევროპულ საქართველოში“ უმოქმედობაში დაადანაშაულეს. გიგა ბოკერიას განცხადებით, არსებობს კვლევა, რომლის მიხედვითაც, სწორედ ამ სამ პარტიასთან ერთად, მის პოლიტიკურ ძალას შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია, თუმცა უცნაურად მიაჩნია, რატომ არ სცდება ხაზარაძე-ჯაფარიძისა და გვარამია-მელიას განცხადებები სატელევიზიო ფორმატს.

„გირჩსა“ და პარტია „საქართველოში“ ამბობენ, რომ არჩევნებში დამოუკიდებლად გავლენ.

ოპოზიციურ ველზე გადაჯგუფების მიუხედავად, სახელისუფლებო პარტიაში აცხადებენ, რომ მათ ოპონენტებს წარმატების შანსი არა აქვთ. მმართველ გუნდში ფიქრობენ, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად თუ მის გარეშე ოპოზიციური პარტიები მორიგი მარცხისთვის უნდა მოემზადონ.

რა კონფიგურაციით წარსდგებიან პარტიები, საბოლოოდ, 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის, დეტალები უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს. საარჩევნო სამზადისისთვის პოლიტიკურ ძალებს კიდევ 4 თვე აქვთ.

**„იმისთვის, რომ მიშაზე სუფთა სინდისით ელალატათ, გააკეთეს სიაფანდი კვლევა და სიაფანდი რეიტინგები. დაწერეს, რომ თურმე ჩვენ გარდა ყველა ლახავს ბარიერს (თუ ეს გჯერა, რატო იღვწი ასე მონდომებით გაერთიანებისკენ?). მერე, როგორც ჭეშმარიტ სულელებს შეეფერება, თავიანთი სიაფანდობა თავად დაიჯერეს და ასე, სულელურად თავდაჯერებულები ეკაჩავებიან ერთმანეთს სიაში ადგილებზე“**, – წერს „გირჩის“ თავმჯდომარე **იაგო ხვიჩია**.

ანალიტიკოსი გია აბაშიძე ამბობს, რომ როგორც ჩანს, ოპოზიციის დანარჩენმა ნაწილმა ე.წ. ერთიანობის გამოცხადება რამდენიმე დღით გადადო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით, შეთანხმება ვერ მოხდა. თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ ილუზიური ერთიანობა ძალიან სასაცილოდ გამოიყურება.

**„საზოგადოების დიდი ნაწილი საერთოდ არ აკვირდება, ვინ ვისთან ერთიანდება და ვინ როგორი ფორმით ცდილობს პარლამენტში შეძრომას. ეს ვითომ ახალი სახეები ხომ საერთოდ სასაცილოა, რადგან მათ არა ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჯალათური რეჟიმის და პარტიის ნამსხვრევების მხარდამჭერები არიან. ამის შელამაზება და შეფუთვა აღარ არის საჭირო. მათ შორის იგივე ლაშა ბაქრაძე ავიღოთ, რომლისთვისაც ძალიან სამარცხვინო უნდა იყოს ამ პარტიასთან თანამშრომლობა.**

**ასევე საკუთარი პრინციპების ფეხქვეშ გამთელავი და უთავმოყვარეო პიროვნება არმაზ ახვლედიანი, რომელმაც რამდენი პარტია უნდა გამოიცვალოს. ჯერ იყო და ასლან აბაშიძის პარტიაში მოღვაწეობდა, შემდეგ „ოცნებაში“ სცადა საკუთარი უნარ-ჩვევები, რომელიც კრახით დასრულდა. მერე გვახსოვს „ევროპულ საქართველოში“ იყო და ახლა „ნაციონალურ მოძრაობაში“ გადაბარგდა. ასეთი უპრინციპო პერსონაჟები ქართველი საზოგადოებისთვის აღარაფერს ნიშნავენ. მათ შორის ენმ-ის ერთგული ამომრჩევლისთვის. ამ პარტიას თუ დღეს ელექტორატი ჰყავს, ეს სააკაშვილის მეოხებით. სხვა, იქ ვინ შევა და გამოვა, ამ ხალხს არ აინტერესებს“**, – ამბობს აბაშიძე.

რაც შეეხება დანარჩენ პარტიებს, აბაშიძე მიიჩნევს, რომ თაღლითი ხაზარაძე თავისი პარტია „ლელოთი“, მოღალატე გიორგი გახარია, „ახალი“ თუ სხვები, ამომრჩევლისთვის საერთოდ არაფერს წარმოადგენენ. მისი აზრით, ისინი ვერაფერ პოლიტიკურ ფლანგს ვერ შექმნიან.

**„ეს ხალხი თავს იტყუებს, ვითომ რაღაცა სოციოლოგიური კვლევები ჩაატარეს და ხალხი ამ გადაჯგუფების მომხრეა. რეალურად ან თავად უკვეთავენ, ან კიდევ დასავლეთიდან მოსდით. თითქოს მათ აქვთ გამარჯვების შანსი, ტყუილია. ამ ყველფერს ყველა არჩევნებზე ვხედავთ, რომ ნაცოპოზიციას, გინდ სხვადასხვა პარტიად გამოეყონ, გინდ გაერთიანდნენ, რაც უნდა ის გააკეთონ, პოლიტიკაში მოგრუნების არანაირი შანსი არ აქვთ. მათ ადამიანური რესურსების კრიზისი აქვთ. ვერ შეძლეს ასპარეზზე პროფესიონალების გამოყვანა. არაფერი ხელშესახები ამომრჩევლისთვის სათქმელი მათ არა აქვთ“**, – ამბობს აბაშიძე.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** კი ამბობს, რომ „ნაცმოძრაობა“ გარკვეული ერთიანობის და ახალი სახეების შემატების ილუზიას ქმნის. მისი თქმით, ენმ ჩვენს საზოგადოებაში მუდმივად უარყოფითთან ასოცირდება, ამიტომ მიხეილ სააკაშვილს აჩვენებენ, რომ ვითომ მათ პარტიაში ახალი სახეების მოზიდვა მოხდა. რეალურად კი, საზოგადოების დიდი ნაწილი მათ ძალიან კარგად იცნობს და სიახლე არაფერია.

**„რახან ენმ-ს საყვედურობენ წარსულზე, მათ კი ამაზე ბოდიშის მოხდა არ უნდათ, ვარაუდობენ, რომ თუკი ახალ სახეებს წარადგენენ, მათ მიმართ ამის წამოძახება აღარ მოხდება. ამ ახალი წევრებითაც ეს იდეა მწიფდება, რომ „ნაცმოძრაობას“, როგორც პარტიას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ ის პოლიტიკური სუბიექტებისგანაც შედგება და ფიქრობენ ამ ხალხით ამომრჩევლის კიდევ მოხიბვლას შეძლებენ. თითქოს ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც სხვა არჩევანი ჰქონდათ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მიიღეს. მათმა პარტიაში გამოჩენამ რა როლი უნდა შეასრულოს, რას მისცემს ეს ენმ-ს? - არაფერს, რადგან თავად მთელი ეს პარტია და მისი წევრები სააკაშვილზე არიან დამოკიდებულები. მის გარეშე არავინ არაფერს არ წარმოადგენს. ამ ხალხს თავად სჭირდება მიწოლა და თავად ვის მიაწვებიან პოლიტიკურად, ცოტა გაუგებარია. მათ საზოგადოებაში არა აქვთ პოლიტიკური გავლენა, არა აქვთ ავტორიტეტი და რეიტინგი. ამიტომ მათი მიღებით რას იღებს ენმ გაუგებარია. უბრალოდ, ერთი ვარიანტია, რომ ვითომ ამ პარტიაში ვიღაცები მიიღეს, ილუზიურ ერთობას ქმნიან და მათთან ვიღაცებს ყოფნა უნდათ. დანარჩენი ყველაფერი აბსურდულია და პოლიტიკურად არაფრის მომცემი“**, – ამბობს საყვარელიძე.

მისივე თქმით, რაც უფრო გვიან გააკეთებს ოპოზიცია განცხადებას და დროში გაწელავს გადაწყვეტილების მიღებას, ეს ხელს მმართველ გუნდს აძლევს. ოპოზიციის გადაჯგუფება თუ რაღაც ცენტრებად ჩამოყალიბება ამომრჩევლისთვის სიახლეა, ამიტომ ის ამ სიახლეს ელოდება და რაც უფრო დროში გაიწელება, ამომრჩეველიც სხვა გადაწყვეტილებას მიიღებს.

მოამზადა
**ლიკა ბერიკაშვილმა**

## დავით ქართველიშვილი:

# „ამორალურ არსებათა ერთობა“

**„ამორალურ არსებათა ერთობა ჰქვია „ქართული ოცნების“ მიერ ნაგვიდან ამოყვანილ, დაბანილ და დავარცხნილ ტიპებს და ტიპშებს: ზურაბიშვილი, მარგველაშვილი, ახვლედიანი, კორძაია და უამრავი სხვა არსით მოღალატე, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი პრინციპები, გარდა მონობისა. იმ მონობისა, რომელშიც კომფორტულად გრძნობენ თავს და ყველანაირად ეწინააღმდეგებიან ამ მონობიდან გამოსვლას, რადგან დაბადებიდან ლაქიაობისთვის, არიან შექმნილები.“ — წერს „ხალხის ძალის წევრი დავით ქართველიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის ახალი სახეების შესახებ.**

მათ ალიანსებსა თუ კოალიციებს ის ერთი დადებითი მხარე აქვს, რაც გლდანის ნაგავსაყრელს გააჩნია, როგორც აუცილებელ სპეციალურ ადგილს, სადაც ადამიანური ყოფის ნარჩენები გროვდება.

როდესაც ვსაუბრობთ „საბჭოურ მენტალობაზე“, საუბარი არაა ჩვენი ქვეყნის ისტორიის მაინცდამაინც კომუნისტურ ეპოქაზე. საუბარია ჩვენში იმ „გენეტიკურად“ არსებულ კოლაბორაციონიზმსა და კომფორმიზმზე, რომელიც ჩვენი წინაპრების გარკვეულ ნაწილს ქართველობასა და ოსმალობა-მონღოლობა-არაბობა-სპარსელობა-რუსობა-დასავლეთელობას შორის მუდმივ პაექრობაში, თავისუფლებასა და მონობას შორის არჩევანში, და ყოველთვის ვასალობის სასარგებლოდ დადებულ ფსონში გამოიხატებოდა. მათ ალიანსებსა თუ კოალიციებს ის ერთი დადებითი მხარე აქვს, რაც გლდანის ნაგავსაყრელს გააჩნია, როგორც აუცილებელ სპეციალურ ადგილს, სადაც ადამიანური ყოფის ნარჩენები გროვდება. ეს პოლიტიკური სანაგვეც აუცილებელია, ოღონდ ერთი პირობით: ხელისუფლებამ მანდ ქექვას და პერიოდულად იქიდან მორიგი „სასარგებლო“ ნაგვის ამოღებას ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა დაანებოს!“...

# აი, ვინ იყო მოძალადე სააკაშვილი

**გიორგი ნემსაძე: ფედერაციის არჩევნებიდან ერთ საათში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთხოვა, გადავმდგარიყავი!**

* * *



ვეტერანმა ფეხბურთელმა გიორგი ნემსაძემ „იმედის კვირასთან“ ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში მისი გამარჯვების ფაქტთან დაკავშირებული დეტალები გაიხსენა. კერძოდ, თუ როგორ დაურეკა ფედერაციის არჩევნებში გამარჯვებიდან დაახლოებით ერთ საათში მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და მას გადადგომა მოსთხოვა.

„არჩევნებში გამარჯვებიდან ერთ საათში პრეზიდენტმა ტელეფონზე გასაუბრება მთხოვა, შეხვედრის საშუალება არ იყო. მთხოვა, რომ მეორე ყრილობა გამომეცხადებინა, რადგან შიდა დაპირისპირება მაქვსო ჩემს გუნდში და არ მინდა, ფეხბურთმა დიდი განხეთქილება შეიტანოსო და თავზე დამენგრესო რაღაც! ტელეფონზე უშუალოდ ვესაუბრე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. მთხოვა, გამოაცხადე ყრილობაო და კიდევ მითხრა, „რუსთავი 2“-ში 15:00-საათიან „კურიერში“ უნდა მოასწრო სასწრაფოდო.

მერე გავიგე, რომ ერთ-ერთ ჯგუფს ულტიმატუმი წაუყენებია, რომ 18:00 საათზე უკვე, რუსთაველის გამზირზე, ოპოზიციაში ვიქნებით, თუ ნემსაძე გადადგომას არ გამოაცხადებსო“!

## რაც კარგია, კარგია!..

# ოზურგეთის მერია წარმატებულ აბიტურიენტებს დააჯილდოებს!



**ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ მუნიციპალიტეტის მერიის 8 ივლისის სხდომაზე აბიტურიენტებს მიმართა და წარმატებები უსურვა. მერის თქმით, ოზურგეთის მერია წელსაც წაახალისებს წარმატებულ ახალგაზრდებს და ეროვნულ გამოცდებში 100%-იანი გრანტის მფლობელებს 3000 ლარი, ხოლო 70%-იანი გრანტის მფლობელებს 1000 ლარი გადაეცემათ.**

„მინდა ყველა აბიტურიენტს წარმატება ვუსურვო, ცხოვრების ამ მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო და საინტერესო ეტაპზე! განათლებული თაობა ჩვენი ქვეყნის და ოზურგეთის მომავლისთვის დიდი იმედი და სიძლიერეა! ძვირფასო ახალგაზრდებო, ვუერთდები თქვენს ოჯახებს, პედაგოგებს, მეგობრებს, რომლებიც გგულშემატკივრობენ და კიდევ ერთხელ გისურვებთ წინსვლას და წარმატებას მომავლის გზაზე! ოზურგეთის მერია კი წელსაც წაახალისებს წარმატებულ ახალგაზრდებს და ეროვნულ გამოცდებში 100%-იანი გრანტის მფლობელებს 3000 ლარს გადავცემთ, ხოლო 70%-იანი გრანტის მფლობელებს 1000 ლარი გადაეცემათ“!

# ბოლნისი — განახლებადი ენერგია ჯანსაღი გარემოსთვის!

**ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდგრადი ენერგეტიკის დღე სლოგანით „განახლებადი ენერგია ჯანსაღი გარემოსთვის!“ აღინიშნა. ამის შესახებ ინფორმაციას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.**



მათივე ცნობით, მდგრადი ენერგეტიკის დღის ფარგლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა ქალაქ ბოლნისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის სოფელ რაჭისუბანში საინფორმაციო შეხვედრა მოაწყო. ერთ-ერთი მეღვინის ვენახში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მეტეოსადგურია დამონტაჟებული, რომელიც მზის ენერგიაზე მუშაობს და 600-მდე სენსორის კონფიგურაციისა და დაკავშირების შესაძლებლობა გააჩნია.

დავით შერაზადიშვილი ახალგაზრდებს მდგრადი ენერგეტიკისა და განახლებადი ენერგიის მნიშვნელობაზე ესაუბრა და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში დღემდე განხორციელებულ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება, ბოლნისის აგროცენტრის ხელმძღვანელმა ნიკა მინდიაშვილმა კი მოსწავლეებს მეტეოსადგურის ფუნქციები დეტალურად გააცნო.

„ყოველწლიურად ჩვენი მუნიციპალიტეტი ევროკავშირის მდგრადი ენერგეტიკის კვირეულს აქტიურად უერთდება, გამონაკლისი არც წელსაა, ამჯერად კვირეულს სლოგანით „განახლებადი ენერგია ჯანსაღი გარემოსთვის!“ შევუერთდით.

მდგრადი ენერგეტიკის დღის ფარგლებში ქალაქ ბოლნისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებთან ერთად სოფელ რაჭისუბანში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მეტეოსადგური მოვინახულე, რომელიც მზის ენერგიაზე მუშაობს. ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისება უმნიშვნელოვანესია. მოხარული ვარ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება“, — განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

# 14 ივლისს ფესტივალი Art — გენი 2024 სტარტს აიღებს




**პირველი რეგიონული ტურნე ზესტაფონში, სოფელ ცხრაწყაროში, ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლის სახელობის თეატრონზე გაიმართება.**

ფესტივალი ცხრაწყაროს ამფითეატრში საღამოს 7 საათზე დაიწყება.

მოეწყობა ქართული ღვინისა და კულინარიის კუთხეები, მრავალფეროვანი დასასვენებელი სივრცეები, გამოფენა-გაყიდვა, ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი.

დასკვნით კონცერტს ბენდი „ჩვენებურები“, **GAGA FRANI** და **REGGAEON** გამართავენ.

ფესტივალის რეგიონული ტურნე 3 აგვისტოს დმანისის მუნიციპალიტეტში პანტიანის ტბაზე **REGGAE0N** – ის და **SHEREKILEBI**-ის კონცერტით დასრულდება.

**Art** – გენი 2024 – ის რეგიონული ტურნეს მხარდამჭერები არიან: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, დმანისის მუნიციპალიტეტის მერია და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

# ტყიბულში ფეინთბოლში ჩემპიონატი გაიმართა



**საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ფეინთბოლში ჩემპიონატი გაიმართა, რომელიც საცურაო აუზის მიმდებარედ არსებულ მინი-სტადიონზე ჩატარდა.**

ფეინთბოლი გუნდური ექსტრემალური სპორტის სახეობაა, რომელიც საბრძოლო მოქმედებების იმიტაციურ თამაშს წარმოადგენს. მისი მიზანი ახალგაზრდებში მასობრივი სპორტის განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას ემსახურება.

საუკეთესო ტაქტიკური უნარ-ჩვევების გამოვლენის შედეგად გამარჯვებული უკვე მეორედ გახდა გუნდი „პიკოლა.“ ჩემპიონებსა და პრიზიორებს ფედერაციისაგან საჩუქრად თასები გადაეცათ.

# მამა ნაზარი ცოდნას გასცემს!

### ქართველი მოსწავლეები, რომლებსაც მათემატიკაში ბერი ნაზარი ამეცადინებდა, საერთაშორისო ოლიმპიადიდან მედლებით დაბრუნდნენ

ადიგენის რაიონში, სოფელ ზარმაში „ზარზმის აკადემია“ ფუნქციონირებს, რომელშიც გაძლიერებულად ისწავლება მათემატიკა.

წელს, პირველად საქართველოს ისტორიაში, ბალკანეთის მათემატიკის 15 წლამდელთა ოლიმპიადაზე, ზარზმის ბავშვთა აკადემიის თაოსნობით, ახალგაზრდული ნაკრების 6 მონაწილედან 5-მა ვერცხლის, 1-მა კი ბრინჯაოს მედალი მიიღო! — ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში მაგდა ბოზოხიძე ავრცელებს.

პროექტის ხელმძღვანელი და თანამასწავლებელი მამა ნაზარი გახლდათ, რომელიც დიდი ხნის წინ არმაში ბერად აღიკვეცა და სოფელში მათემატიკის სწავლება დაიწყო. მამა ნაზარმა იმდენი მოახერხა, რომ „ზარზმის აკადემიის“ 38-მა მოსწავლემ გამოცდები ჩააბარა და კომაროვის სახელობის სკოლაში გააგრძელა სწავლა.

ოლიმპიადაზე გამარჯვებული გუნდის წევრები არიან: **სანდრო ჟღენტი (კომაროვი), ვანო ელიზბარაშვილი (კომაროვი), გიორგი გუმბერიძე (კომაროვი), ალექსანდრე პაცია (კომაროვი), თორნიკე მანწკავა (ვეკუა), ნიკოლოზ ფხაკაძე (კომაროვი), გუნდის ლიდერია ლუკა მაჭარაშვილი.**





# ამერიკა „მოუთმენლად ელის“ საქართველოსთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობას 2025 წელს!..

## „ავღანეთიდან ისე გავიდა ამერიკა, რომ განცხადება არ გაუკეთებია, ჩვენთვის მუშტების ქნევა კი დაშინების სურვილს ავლენს, რომ უარი გვათქმევინოს ჩინურ ტრანზიტზე“

**საქართველოში ერთობლივი წვრთნის გაუქმების პარალელურად, 15-24 ივლისს აშშ ერთობლივ წვრთნას „Eagle Partner-2024“ ჩაატარებს სომხეთში, რომელიც „კარგად იქცევა“, ანუ ისე, როგორც ვაშინგტონს უნდა.** აშშ-სა და საქართველოს შორის დაპირისპირება მწვავდება. პოლიტიკური სანქციების შემდეგ, აშშ-მა ორმხრივი ურთიერთობების ყოვლისმომცველი გადახედვა დაიწყო. ამ გადახედვის ნაწილად, პენტაგონი განუსაზღვრელი ვადით გადადებს საქართველოში სწავლებებს „ღირსეული პარტნიორი“, რომელთა ჩატარებაც თავდაპირველად 2024 წლის 25 ივლისიდან 6 აგვისტომდე იყო დაგეგმილი.

გავრცელებული განცხადებიდან ვიგებთ, რომ აშშ-მა საქართველოსთან ორმხრივი თანამშრომლობის სრული გადახედვა 30 მაისს დაიწყო. ანუ, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და ასევე, პარლამენტში დარეგისტრირდა კანონის პროექტი ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ.

როგორც აშშ-ის თავდაცვის ძალების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „ღირსეული პარტნიორის“ ამ სწავლების გადადების შესახებ გადაწყვეტილება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის მხრიდან შეერთებული შტატებისა და სხვა დასავლური ორგანიზაციების წინააღმდეგ ყალბი ბრალდებებით, თითქოს ისინი საქართველოზე ზეწოლას ახდენენ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გასახსნელად, რათა უკრაინისგან ზეწოლა მოხსნას, და თითქოს ისინი მმართველი პარტიის წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალების ორ მცდელობაში მონაწილეობდნენ.

ამ ლოგიკით შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ახლა საქართველოში ფართო მასშტაბის სამხედრო წვრთნების ჩატარებისთვის შესაბამისი დრო არ არის.

თავდაცვის მინისტრი გაუგებარ გადაწყვეტილებას უწოდებს აშშ-ის თავდაცვის ძალების მიერ გავრცელებულ განცხადებას. ირაკლი ჩიქოვანის თქმით, თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატი არსებობს, შესაბამისად, ემზადებიან წვრთნებისთვის, რომელიც დაგეგმილია 2025 წელს.

**„გაუგებარია გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდება „ღირსეული პარტნიორის“ გაურკვეველი ვადით გადადებას. თუმცა, მეორე მხრივ, ხაზს გავუსვამ იმას, რომ ჩვენ, თავდაცვის სამინისტროს და აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტს**



**გვაქვს ძალიან ბევრი სხვადასხვა თანამშრომლობის ფორმატი, სადაც ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ და ვთანამშრომლობთ და ეს თანამშრომლობა გრძელდება. საერთაშორისო სწავლებებში, რომლებშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნების ქვედანაყოფები, არის სასარგებლო ღონისძიება, როგორც ქართული თავდაცვის ძალებისთვის, ასევე აშშ-ის შეიარაღებული ძალებისთვის და ყველა იმ სახელმწიფოს წარმომადგენლისთვის, რომელიც ამ წვრთნებში მონაწილეობს“,** – განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

ფაქტი მოულოდნელი არ ყოფილა რობინ დანიგანისთვის. აშშ-ის ელჩის განცხადებით, გადაწყვეტილება სამწუხაროა, თუმცა გაუგებარი არ არის.

**„ახლა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გადახედვის პროცესი მიმდინარეობს. ეს, რა თქმა უნდა, სამწუხაროა, თუმცა გაუგებარი არ არის, ამ საკითხზე ჩვენ ვისაუბრეთ და სახელმწიფო მდივანმა მკაფიოდ განაცხადა, რომ მიმდინარეობს ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების გადახედვა, შესაბამისად, ამ კონტექსტში მოხდა აღნიშნული წვრთნების გაუქმება, რადგან ადგილი ჰქონდა საჯარო განცხადებებს გარკვეული პირებისგან, მათ შორის, მმართველი პარტიის წევრებისგან და ამიტომ მიმდინარეობს ურთიერთობების გადახედვა. სწორედ ამიტომ სამწუხაროა, თუმცა იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობები დაბალანსდება“,** – განაცხადა რობინ დანიგანმა.



მაშ ასე, აშშ აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ დასავლეთს აშორებს საქართველოს და ამ მოტივით იწყებს ურთიერთობის გადახედვას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ პირველად 2015 წელს მმართველი პარტიის ძალისხმევით ჩატარდა და შემდეგ უკვე სისტემატური ხასიათი მიიღო. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო სწავლების მიზანს მხოლოდ საქართველოს დახმარება არ წარმოადგენდა, არამედ ის ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო, როგორც საქართველოსთვის ასევე აშშ-სთვის, მისი გაუქმებით კი აშშ-მა აჩვენა, რომ მისთვის მიუღებელია ხელისუფლება, რომელიც ამერიკული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მორჩილი არ არის.

* * *

**ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძის** განცხადებით, საქართველოში „Noble Partner-2024“ („ღირსეული პარტნიორი-2024“) ტექსტს თუ ბოლომდე წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ აშშ „მოუთმენლად ელის“ მომავალ თანამშრომლობას პარტნიორებთან (ანუ საქართველოსთან) 2025 წელს.

ანჯაფარიძის თქმით, ზემოთ ხსენებულს პოლიტიკური დატვირთვა აქვს და აშშ-ის იმედი აქვს, რომ საქართველოს მათი ბრძანებების თუ სურვილების უსიტყვოდ შემსრულებელი ხელისუფლება ეყოლება და ამისთვის აშშ ინტენსიურად მუშაობს და სწავლების გადადებაც ამ გეგმის ნაწილია. როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, თუ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ სუფთად და დამაჯერებლად გაიმარჯვა, ამერიკელები სამხედრო სწავლებასაც აღადგენენ და კიდევ ბევრ სხვა რამეს დაამატებენ.

„ტექსტში განსაკუთრებით საგულისხმო ბოლო პარაგრაფებია, სადაც წერია, რომ: „აშშ გააგრძელებს პარტნიორობას საქართველოს თავდაცვის ძალებთან და ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ წვლილს, რაც მის პარტნიორებს (ამ შემთხვევაში საქართველოს) შეაქვს ასეთ სწავლებებში. იქვე ხაზგასმულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „მოუთმენლად ელის“ მომავალ თანამშრომლობას პარტნიორებთან (ანუ საქართველოსთან) 2025 წელს და ა.შ.

პირადად ჩემთვის, სწორედ ეს ბოლო ორი პარაგრაფია მნიშვნელოვანი, ვიდრე განცხადების დასაწყისში მოყვანილი „ბლაბლა“ - მნიშვნელოვანია სწორედ, პოლიტიკური დატვირთვის გამო. აშშ გვეუბნება და არა მარტო ჩვენ (კიდევ ვის, გასაგებია!), რომ ხელს არ გაგიშვებთ, დახმარებას გავაგრძელებთ, აი, სამხედრო სწავლებას კი 2025-ში აღვადგენთო.

**ეტყობა, იმედი აქვთ, რომ გაისად საქართველოს, ამერიკის წინაშე ცალ ფეხზე მდგომი და მათი ბრძანებების თუ სურვილების უსიტყვოდ შემსრულებელი ხელისუფლება ეყოლება. ამისთვის კი აშშ ინტენსიურად მუშაობს და სწავლების გადადებაც ამ გეგმის ნაწილია. მაგრამ თუ არჩევნებში „ოცნებამ“ სუფთად და დამაჯერებლად გაიმარჯვა, ამერიკელები სამხედრო სწავლებასაც აღადგენენ და კიდევ ბევრ სხვა რამეს დაამატებენ“,** – აცხადებს ზაალ ანჯაფარიძე.

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, სამხედრო სწავლების ჩატარება, მით უმეტეს შორეულ საქართველოში, ამერიკულ ბიუჯეტს ფული უჯდება. პრაგმატული ამერიკელები კი ერთ ცენტსაც არ ჩადებენ ისეთ საქმეში, სადაც ინტერესი არ აქვთ და სარგებელს არ

## კახა კალაძე: საქართველო ვერ იქნება ვინმეს ვასალი!..



**„ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება მზადაა თანამშრომლობისთვის, მეგობრობისთვის, რაც ორმხრივი უნდა იყოს“,** – ასე პასუხობს თბილისის მერი კახა კალაძე ჟურნალისტის კითხვას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოსთან სამხედრო წვრთნების გადადების შესახებ.

**„ცხადია, ცუდია, რომ გადაიდო, თუმცა ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება მზადაა თანამშრომლობისთვის, მეგობრობისთვის, რაც ორმხრივი უნდა იყოს, ცალმხრივი ვერ იქნება, აღნიშნული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისთვის. ველოდებით, რომ ეს მიდგომები და დამოკიდებულებები შეიცვლება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ვერავინ მოიყვანს მაგალითს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკური კურსი შეიცვალა.

**– ვერც ერთ მაგალითს ვერ მოიყვანთ, რომ საქართველოს ხელისუფლების კურსი არის შეცვლილი. ბუნებაში არ არსებობს უბრალოდ. ეს არის ფარისევლობა. არანაირი მაგალითი არ არსებობს იმისა, რომ საქართველოს კურსი შეცვლილია. ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია განცხადება, რომ ვერ მოიყვანთ ვერც ერთ მაგალითს იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არადემოკრატიული, არაევროპული ნაბიჯები გადადგა. მოყოლებული 2012 წლიდან, ყველა ხელშესახები წინსვლა ევროინტეგრაციის გზაზე გაკეთებულია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მიერ“,** – განაცხადა მან.

დედაქალაქის მერმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და ხელისუფლება არ დაუშვებს, ვინმეს კარნახით ქვეყნისთვის საზიანო ნაბიჯი გადადგას.

**– საქართველო ვერ იქნება ვინმეს ვასალი. შეუძლებელია. საქართველო არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო. ამისთვის ჩვენმა წინაპრებმა იბრძოლეს, სისხლი დაღვარეს და არავის მიეცემა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს ხელისუფლებას უბრძანოს და გადაადგმევინოს ისეთი ნაბიჯი, რომელიც თავიდანვე ვიცით, რომ პრობლემური იქნება ჩვენი სახელმწიფოსა და მოსახლეობისთვის. გვახსოვს მოწოდებები სანქციებთან, მეორე ფრონტთან, სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ეს არ არის სწორი დამოკიდებულება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთობები გაღრმავდეს, მოხდეს გადატვირთვა და თანამშრომლობა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდეს...**

ელოდებიან. „როგორც ერთმა ნაცნობმა სამხედრომ მითხრა, საქართველოში ჩატარებული წვრთნებით, ამერიკელებიც იღებენ კარგ სარგებელს – დეტალებს არ მოვყვები“, – აღნიშნა ზაალ ანჯაფარიძემ.

* * *

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე** არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ამერიკა გადის რეგიონიდან და თვლის, რომ პირიქით, ამერიკას რეგიონი აინტერესებს, რათა ეს რეგიონი არ გადაიქცეს ტრანზიტის რეგიონად. კერძოდ, ჩინეთიდან ევროპისკენ ტვირთების ტრანზიტ-რეგიონად.

**„ვიცით, რომ ბოლო ხანებში აზერბაიჯანზეც არის კბენა დაწყებული და აზერბაიჯანელმა ექსპერტებმა კრიტიკული პოზიცია გამოხატეს დასავლეთის მიმართ და თქვეს, რომ ეს ორმაგი სტანდარტებიაო. ასე რომ, რაღაც უფრო რთულ პროცესთან გვაქვს საქმე, ვიდრე რეგიონიდან გასვლის პროცესია. ჩვენ ვნახეთ ავღანეთიდან ისე გავიდა ამერიკა, რომ განცხადება არ გაუკეთებია. ანუ, თუ გასვლა უნდა, ამას არ სჭირდება თითების ქნევა, გავიდოდა ისედაც. იმდენს იქნევს მუშტებს, რომ სავარაუდოა, გასვლა არ უნდა. პირიქით, მუშტების ქნევა დაშინების სურვილს ავლენს უფრო მეტად და დაშინება რისთვის უნდა? - იმისთვის, რომ საქართველოს და აზერბაიჯანს ათქმევინოს უარი ჩინურ ტრანზიტზე, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით, შედის საქართველოს ინტერესებში.**

**უფრო რთული სიტუაცია არის, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით ვიგულისხმოთ. გადის რეგიონიდან, ეს უფრო გაზუტვის სურათია და ბევრი თვლის, რომ აი, ამერიკა ებუტება საქართველოს იმიტომ, რომ აქ დემოკრატიას არ იცავენ. მეეჭვება, რომ ასეთი მარტივი სურათი იყოს, დიდ პოლიტიკას ასეთი ბავშვური თამაშები არ უყვარს. ვფიქრობ, რომ ამერიკის მიზანია, საქართველოს გადაადგმევინოს მისთვის სასურველი ნაბიჯები და ეს არის ბრძოლის მიზანი. ბრძოლა კი იმიტომ გაჩაღდა, რომ ჩინეთთან პარტნიორობა არის საქართველოს ინტერესში. ამიტომ, ამერიკას აწყობს საქართველომ თქვას უარი იმაზე, რაც თვითონ საქართველოს აწყობს. ასე რომ, ეს არის მკაფიო ინტერესთა ბრძოლა“**, – აცხადებს საყვარელიძე.

კითხვაზე, გრძელვადიან პერსპექტივაში რას ნიშნავს პენტაგონის გადაწყვეტილება, პოლიტოლოგს უჭირს პასუხის გაცემა და ამბობს, რომ ძნელია იმის თქმა, გრძელვადიან პერსპექტივაში თვითონ ამერიკა როგორი იქნება.

**„ვიცით, მოდის არჩევნები, ვიცით, რომ ერთ-ერთი კანდიდატი, მოქმედი პრეზიდენტი ისეთ მდგომარეობაშია, რომ ყველა ეხვეწება, დაანებე არჩევნებს თავიო. ამიტომ სრულიად გაუგებარია, რა მოხდება ამერიკაში. ამერიკაში, რომელმაც მოახერხა, რომ კითხვის ნიშანი ჩნდება როგორი იქნება მისი მომავალი, როგორი იქნება ურთიერთობა საერთაშორისო ურთიერთობებში ახალ ჩართულ ზესახელმწიფო ჩინეთთან, ამ კითხვებზე პასუხის გარეშე იმ პროგნოზების კეთება – საქართველოს რას უზამს ამერიკა – ძნელია. მით უმეტეს არც ის არის გარკვეული, რეალურად, რას აპირებს ამერიკა. გავიხსენოთ, რომ 30 კაცზე გამოცხადებული სანქციების სიიდან, ჯერჯერობით არც ერთი არ ამბობს, მომივიდა სანქციებიო. რა გააკეთეს ამ გამოცხადებით, ძნელი სათქმელია. ეს უფრო დაშინებას გავს, ვიდრე რეალურ დაპირისპირებას. არ არის გამორიცხული, რომ პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შემდეგ ამერიკამ დაპირისპირებაზე უარი თქვას“**, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**



## დავით ზალკალიანი: ნატოს საიუბილეო სამიტზე საქართველოს მიწვევა არის მნიშვნელოვანი გზავნილი!



**საქართველოს მონაწილეობა ნატოს ვაშინგტონის სამიტში კიდევ უფრო წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ნატოში ინტეგრაციის კუთხით, – ამის შესახებ აშშ-ში საქართველოს ელჩმა, დავით ზალკალიანმა განაცხადა.**

„ნატოს საიუბილეო სამიტზე საქართველოს მიწვევა არის მნიშვნელოვანი გზავნილი ნატოს მხრიდან, რაც არის დასტური იმისა, რომ ნატო საქართველოს განიხილავს, როგორც ღირსეულ პარტნიორ ქვეყანას, წარმატებულ ასპირანტ ქვეყანას. ჩვენი მონაწილეობა კიდევ უფრო წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის კუთხით“, – აღნიშნა დავით ზალკალიანმა.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, რომელიც უხელმძღვანელებს საქართველოს დელეგაციას, მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე ფორმატში, მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმატია საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრა.

**„ამ ფორმატში მას ექნება შესაძლებლობა, ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს გააცნოს ქვეყნის პოზიცია იმ უსაფრთხოების გამოწვევებთან მიმართებით, რომლებიც შექმნილია რეგიონში. განსაკუთრებით საინტერესო იქნება, რა თქმა უნდა, შავი ზღვა და შავი ზღვის უსაფრთხოების სისტემა. სწორედ ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, უაღრესად საინტერესო სამიტი იქნება და საქართველოს ექნება შესაძლებლობა, თავის პარტნიორებთან, ალიანსის წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად, კვლავ განიხილოს ქვეყნების წინაშე არსებული გამოწვევები“, —** განაცხადა დავით ზალკალიანმა.

კითხვაზე, სამიტის დეკლარაციაში იქნება თუ არა ჩანაწერი ღია კარის პოლიტიკის შესახებ, დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ ქართული მხარის მოლოდინია, რომ ქვეყნის პროგრესი იქნება ადეკვატურად შეფასებული.

„მოგეხსენებათ, ბუქარესტის სამიტის შემდეგ სიტუაცია ძალიან სწრაფად და დინამიკურად შეიცვალა მთლიანად რეგიონში, გლობალურადაც. განსაკუთრებით ორი-სამი წლის განმავლობაში. უკრაინაში რუსეთის აგრესიის შემდეგ, ნატო ახალი გამოწვევების წინაშე დგას და სწორედ ეს გარემოება კარნახობს ასევე სხვა ინტეგრაციულ პროცესებს. საქართველო ვერ განიხილება იზოლაციურად და მოწყვეტილად ამ პროცესებისგან. ჩვენი მოლოდინიც არის, რომ ჩვენი პროგრესი იქნება ადეკვატურად შეფასებული. და მე სწორედ ამის მოლოდინი მაქვს, რომ ეს საიუბილეო სამიტია, საიუბილეო სამიტზე განსხვავებული ფორმატია და მოლოდინი არ არის, რომ რამე სახის კონკრეტული გადაწყვეტილებები იქნება მიღებული, თუმცა ქვეყნის პროგრესი იქნება ადეკვატურად შეფასებული“, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

## ფასების შეკავება თანდათან რთული ხდება, ინფლაცია ტემპს იკრეფს



**ინფლაციამ ტემპი აკრიფა და წლის ბოლოს უკვე ყველასათვის თვალში საცემი იქნება. მყარი საფუძველია, რომ წლის ბოლოს სამიზნე მაჩვენებელი „დაიძლევა“, რაც ნამდვილად არასახარბიელო სიგნალია. სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, ლარის გამყარება და სტაბილურობა ფასების საერთო დონის შენარჩუნების ძირითადი ფაქტორია.**

2024 წლის ივნისში საქართველოში წლიური ინფლაცია 2.2%-მდე გაიზარდა, რაც 2024 წელს ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. „საქსტატის“ ინფორმაციის თანახმად, ინფლაციაზე გავლენა მოახდინა სურსათის ფასების 1.9%-ით გაძვირებამ, ასევე ტრანსპორტის ჯგუფში ფასების 11%-იანმა მატებამ.

ეკონომისტები მზარდი ტენდენციის გაგრძელებას პროგნოზირებენ, რაც, დიდი ალბათობით, წლის მეორე ნახევრიდან დაიწყება. სწორედ მოსალოდნელ შედეგზე ისაუბრა „გალტ ენდ თაგარტის“ კვლევების დეპარტამენტის უფროსმა **ევა ბოჭორიშვილმა** და აღნიშნა, რომ წლის ბოლოსთვის ინფლაციას 4%-ის ფარგლებში ელოდება, ეროვნულ ბანკს კი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირების საშუალება აღარ ექნება.

„აპრილ-მაისში ჩანს, რომ ინფლაცია კვლავ მიზნობრივზე დაბლა ნარჩუნდება, მაგრამ არის ეტაპობრივი ზრდა. ვფიქრობთ, წლის მეორე ნახევარში ფასების ზრდის ტემპი გაგრძელდება. ამაზე სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის საერთაშორისო ბაზრებზე იმ საქონლის ფასების ზრდა, როგორიც არის სურსათის და ნავთობის ღირებულება, რასაც გავლენა აქვს საქართველოში ფასების დონეზე. აგრეთვე, გარკვეულწილად, ლარის კურსის მერყეობასაც აქვს გავლენა. **ვფიქრობთ, წლის მეორე ნახევარში, ინფლაციური წნეხი მოიმატებს და წლის ბოლოსთვის ინფლაციას 4%-ის ფარგლებში ველოდებით. ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირების საშუალება აღარ ექნება, რომელიც ამ ეტაპზე 8%-ია. ჩვენი მოლოდინით, რეფინანსირების განაკვეთი წლის ბოლომდე ამ ნიშნულზე დარჩება„,** – განაცხადა „ბიზნეს მედიასთან“ ბოჭორიშვილმა.

ანალიტიკოსების მეორე ნაწილი ლარის რყევაზე აკეთებს აქცენტს და აღნიშნავს, რომ მისი გაუფასურების შემთხვევაში ინფლაცია კიდევ მოიმატებს. მართალია, ბოლო დღეებში ეროვნული ვალუტა საგრძნობლად მყარდება, თუმცა 2-3 თვეა დიდი მერყეობით გამოირჩევა და ამიტომ ახლო და საშუალო პერსპექტივაში არავინ იცის, რა პოზიციაზე იქნება.

„თიბისი კაპიტალის“ ლარის კურსის პროგნოზირების ჩარჩოს მიხედვით, წმინდა სავალუტო შემოდინებები, ლარისათვის პოზიტიურია, თუმცა სენტიმენტები კურსის მნიშვნელოვან მერყეობას იწვევს. საქართველოს ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორების ვალუტებთან მიმართებით ლარის საშუალო შეწონილი გაცვლითი კურსის კუთხით შეფასება დიდწილად ნეიტრალურია, ხოლო ინფლაციის მხრივ, შეფასება ნეიტრალური ან პოზიტიურია. რას გულისხმობს ამ შემთხვევაში პოზიტიური? მართალია, წლიური ინფლაცია ჯერ კიდევ სამიზნეზე დაბლაა, თუმცა გაწლიურებული ყოველთვიური მაჩვენებლები უკვე 3%-ზე მაღალია და ლარის გაუფასურების შემთხვევაში, თავისთავად, ინფლაცია კიდევ მოიმატებს. ამდენად, მოცემული ჩარჩოს 3 ფაქტორის გათვალისწინებით, ჩვენი შეფასება დიდწილად ნეიტრალურია, განსხვავებით ადრინდელი საბაზო სცენარისა, სადაც ლარის მცირედით, მაგრამ სწორედ გაუფასურება მოიაზრებოდა“, – აღნიშნულია მიმოხილვაში.

დამოუკიდებელი ექსპერტები კი ეროვნული ბანკის როლზე საუბრობენ. რეფინანსირების განაკვეთის როლზე ისაუბრა „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტმა პაატა შეშელიძემ და აღნიშნა, რომ ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში სებ-მა საჭირო მონეტარული პოლიტიკა არ შეინარჩუნა.

„ფასების ზრდა არ შეიძლება მონეტალური პოლიტიკისგან დამოუკიდებლად განვიხილოთ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შეიცვალა, შერბილდა და ფულის მიწოდება გაიზარდა, ამიტომ სხვას არაფერს უნდა ველოდოთ. ასეთ შემთხვევაში ფასები აუცილებლად მოიმატებს, რადგან უფრო მეტად იზრდება ფულის მიწოდება, ვიდრე რაღაცის შექმნა. ამ ყველაფრის შედეგად ბაზრის რეაქცია არის ფასების ცოტათი მატება.

არ მესმის რატომ აკეთებს ეროვნული ბანკი ამას მუდმივად. ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც მონეტარული პოლიტიკა უნდა შენარჩუნებულიყო, პირიქით, არ შეინარჩუნეს, მიუშვეს სადავეებს, ფულის მიწოდება გაზარდეს და, რა თქმა უნდა, ფასების მომატებას შეუწყვეს ხელი. ამ დროს პირიქით უნდა მომხდარიყო“, – განაცხადა შეშელიძემ.

**ბექა დანელია**



# პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული კონკურსის პირობა კანონს ეწინააღმდეგება



**კონსტიტუციის თანახმად, საქართველო ევროინტეგრაციაზე ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოა, რაც რეალურად დანაწილებული ხელისუფლებისა და კანონის უზენაესობის გარეშე მხოლოდ ფიქციაა. ამასთან, ევროპელებმა დიდი ხანია, იციან, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობის ყველაზე ეფექტურ შემაკავებელს, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის ერთადერთ ქმედით გარანტს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო წარმოადგენს.**

სწორედ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხის ასამაღლებლად არის შექმნილი იუსტიციის უმაღლესი საბჭო (იუს), რომლის საქმიანობის მიმართ, არა მარტო ადგილობრივი ექსპერტები, არამედ სტრატეგიული პარტნიორებიც გამოთქვამენ პრეტენზიებს და იუს რეფორმირებასთან ერთად, მისი წევრების შერჩევის წესის გადასინჯვასაც გვირჩევენ.

ვინაიდან მეოთხე პრეზიდენტის მიერ, ფაქტობრივად, არჩევისთანავე გამოცხადებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის შესარჩევი კონკურსი აშკარა კანონდარღვევებით ჩატარდა, სასამართლოში სარჩელი იქნა შეტანილი, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, სამართალწარმოება გაუმართლებლად გაჭიანურდა და „სამართლიანობის აღდგენა“ ვერ მოხერხდა... მართალია, სასამართლომ მარგველაშვილის მიერ ჩატარებულ კონკურსში დარღვევები (გაყალბებული დოკუმენტებიც კი...) ვერ შენიშნა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავად მიხვდა, რომ საქართველოში ყველაზე გავლენიანი მოსამართლის ახლობლის **იუს**-ში კანონდარღვევით გამწესებით სერიოზული შეცდომა დაუშვა, ვინაიდან ანა დოლიძე **იუს** წევრად უკვე ყოველგვარი კონკურსის გარეშე დანიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია უპირობოდ ანიჭებს პრეზიდენტს **იუს**-ში ერთი წევრის საკუთარი შეხედულებისამებრ შერჩევისა და უკონკურსოდ დანიშვნის უფლებას (შესაბამის ორგანულ კანონში მოცემული ნორმა, რომლიც პრეზიდენტს **იუს** წევრის კონკურსით შერჩევას ავალდებულებს, კონსტიტუციას ეწინააღმდეგება...), მისასალმებელია, რომ სალომე ზურაბიშვილმა იუს წევრის გამოვლენა ისევ კონკურსის გზით გადაწყვიტა, თუმცა, რატომღაც კანონი ამჯერადაც „გადაასხვაფერა“...

**კერძოდ, იუს წევრის შესარჩევად N21/06-01 (21.06.24) განკარგულებით გამოცხადებული კონკურსის პირობის მე-4 პუნქტის თანახმად, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს უფლება აქვს, წარადგინოს იუს წევრობის კანდიდატი, თუ კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში“.**

არადა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კანდიდატის წარმდგენი **„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის ერთ-ერთი სფერო კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში უნდა იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში“.**

მიმაჩნია, რომ რეგულაციის მიზნიდან გამომდინარე, შინაარსობრივად, პრეზიდენტის განკარგულებაში მოცემული მოთხოვნა უფრო გონივრულია, ვინაიდან გრამატიკული განმარტებით უშუალოდ კანდიდატზე ვრცელდება (სპეციალისტების დასკვნით, ნაცვალსახელი „მისი“ მიემართება მასთან უფრო ახლოს მდგომ სიტყვა „კანდიდატს“), მაგრამ როდესაც კანონი სასამართლოებთან ურთიერთობის გამოცდილებას კანდიდატის წარმდგენი ორგანიზაციისგან ითხოვს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრეზიდენტი ვალდებულია, კანონს დაემორჩილოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულიად აბსურდული („პოლარიზაციის“ გამომწვევი...) ვითარება იქმნება, როდესაც ერთი მხრივ, განკარგულების პირველივე წინადადებაშია დეკლარირებული, რომ პრეზიდენტი კონკურსს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად ატარებს, თუმცა კონკურსის პირობაში მოცემული ნორმა, ზემოაღნიშნულ კანონს ეწინააღმდეგება, რაც სამართლებრივი ნიჰილიზმის (სამართლის ნორმების არცოდნა ან/და აბუჩად აგდება) მორიგ აშკარა გამოვლინებას წარმოადგენს და კონკურსში მონაწილეობის მსურველებსაც აზნევს...

კარგი იქნებოდა, პრეზიდენტს იმაზეც ეფიქრა, რამდენად გამართლებულია იუს წევრის მხოლოდ „შესაბამისი ორგანიზაციების კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს“ მიერ წარდგენილი კანდიდატებისგან შერჩევა (განკარგულების მე-2 პუნქტი). მით უმეტეს, 2020 წელს, „თავისი რჩეული“ (ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოსამართლის ნათესავი...), თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილ „სამართლის დარგის აღიარებულ სპეციალისტად“ გააცნო საზოგადოებას, თუმცა, რეალურად, სრულიად სხვა უნივერსიტეტის და ისიც მისი რექტორის მიერ ერთპიროვნულად იყო წარდგენილი კონკურსზე... არადა, არც თსუ-ის მესვეურებს, არც „არასამთავრობოებს“ და არც კონკურსში მონაწილე იურისტებს გამოუთქვამთ პროტესტი...

შედეგად, 4 წელი ისე მიილია, რომ პრეზიდენტის კონკურსში „გამარჯვებულის“ **იუს**-ში მოღვაწეობის თაობაზე საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი, თუმცა ფაქტია, ბოლო ორი წლის განმავლობაში, მისი მე-10 ხმა იყო გადამწყვეტი, ვინაიდან პარლამენტს 5 არამოსამართლე წევრის არჩევა დაუგვიანდა...

**მიმაჩნია, რომ დღევანდელ ვითარებაში, „კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანო“, ფაქტობრივად, გადაულახავი ბარიერია ანალიტიკურად მოაზროვნე და მიუკერძოებელი პიროვნებისთვის, რომელსაც უნარი შესწევს, არა მარტო სხვის, არამედ თავისი ორგანიზაციის ნაკლოვანებებზეც ილაპარაკოს ღიად. არა მგონია, რომ მაგ., თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ იუს წევრად წარადგინოს პროფესორი, რომელიც იურიდიული ფაკულტეტის დეკანს დოკუმენტის გაყალბებაში ან რექტორს ეთიკის ნორმების დარღვევაში ამხელს.**

გარდა ამისა, ვინაიდან, პარლამენტის მიერ მკაფიოდ არ არის განსაზღვრული „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტის“ ცნება (განკარგულების მე-5 პუნქტი), პრეზიდენტების მიერ იუს წევრებად, როგორც წესი, სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტებისთვის, ფაქტობრივად, უცნობი, ამასთან საეჭვო კვალიფიკაციის და არასაკმარისად დამოუკიდებელი იურისტები ინიშნებიან.

ისიც ფაქტია, რომ პრეზიდენტის მიერ 4 წლის წინ გამოცხადებულ კონკურსზე წარდგენილი 14 კანდიდატიდან „საორგანიზაციო კომისიამ“ ხუთს დოკუმენტები დაუწუნა, რითაც დაადასტურა კონკურსის პირობაში (ფაქტობრივად, კი კანონმდებლობაში...) „გაპარული ხარვეზების“ არსებობა. სხვა შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია, რომ კონკურსში მონაწილე „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტების“ მესამედს საკუთარი საბუთების მოწესრიგებისას ვერ გამოევლინათ სათანადო ე. წ. ზოგადი უნარები და მათი წარმდგენი ორგანიზაციების „კოლეგიურ ხელმძღვანელ ორგანოებსაც“ ვერაფერი შეენიშნათ.

**... კარგი იქნება თუ კონკურსი შეჩერდება, თუ ზურაბიშვილი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არამოსამართლე წევრს წლის ბოლომდე არ დანიშნავს, ხოლო მომავალი პარლამენტი საბჭოს სრულად დაითხოვს და დაკომპლექტების წესს შეცვლის.**

**როგორც ჩანს, ზურაბიშვილსაც აწყობს საკონკურსო პირობების არაგანჭვრეტადობა, რაც არასასურველი კანდიდატების ჩამოცილების საშუალებას იძლევა... მით უმეტეს, დღემდე არ რის დადგენილი კანდიდატების წარსადგენად უშუალოდ არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს მიღებული მონაწილეობა სასამართლოში საქმეთა განხილვაში (ცხადია, წარმომადგენლების მეშვეობით), თუ საკმარისია მისი „კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანოს“ რომელიმე წევრს საკუთარ ან სხვის ინტერესებში ჰქონდეს თუნდაც ერთი სარჩელი შეტანილი ბოლო ორი წლის განმავლობაში...**

დღევანდელ ვითარებაში, „კოლეგიური ხელმძღვანელი ორგანო“, ფაქტობრივად, გადაულახავი ბარიერია ანალიტიკურად მოაზროვნე და მიუკერძოებელი პიროვნებისთვის, რომელსაც უნარი შესწევს არა მარტო სხვის, არამედ თავისი ორგანიზაციის ნაკლოვანებებზეც ილაპარაკოს ღიად. შესაბამისად,გონივრული იქნებოდა, **იუს** წევრების შესარჩევად ღია კონკურსი გამოცხადებულიყო, რომელშიც ყველაზე გამოცდილი, დამოუკიდებელი და აქტიური იურისტები მიიღებდნენ მონაწილეობას, ხოლო იუს წევრად გამწესებისთვის ადვოკატთა ასოციაციის წევრთა პოზიცია ყოფილიყო გადამწყვეტი.

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ მიუხედავად იმისა, მიმდინარე კონკურსისთვის პრეზიდენტმა „იუს წევრობის კანდიდატების შესარჩევ კომისიაში“ 7, მისთვის ავტორიტეტული პირი შეიყვანა, არა მარტო პრეზიდენტისადმი უნდობლობის ბრალია, რომ მხოლოდ ხუთმა იურისტმა გამოთქვა **იუს**-ში დასაქმების სურვილი. წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მგონია, „გამარჯვებული“ **დიმიტრი გაბუნია** გახდება, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც აქვს ნამუშევარი და საზოგადოებასთან კომუნიკაციის აკადემიური სტილით, არც ხელისუფლებას შეუქმნის დისკომფორტს. ამასთან, ვინაიდან საკმაოდ გონიერი და წარმატებული ადვოკატია, დარწმუნებული ვარ, გარკვეული გარანტიების გარეშე კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებდა...

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კარგი იქნება თუ კონკურსი შეჩერდება!, გონივრული იქნება, თუ ზურაბიშვილი იუს-ში არამოსამართლე წევრს წლის ბოლომდე არ დანიშნავს, ხოლო მომავალი პარლამენტი იუს სრულად დაითხოვს და დაკომპლექტების წესს შეცვლის.

ცნობილია, რომ ევროპული სამართლებრივი სისტემა, რომელშიც ვაპირებთ ინტეგრირებას, კანონისადმი პატივისცემის გარდა, სწორედ სამართლიანი კონკურსების (არჩევნების) ჩატარების კულტურით გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ თავს ვალდებულად ვთვლი, პრეზიდენტსაც შევახსენო, რომ სამართლიანი კონკურსების ჩატარება თუ ვერ ვისწავლეთ, ევროპული სივრცის ნაწილად არავინ გვაღიარებს!



**ავთანდილ კახნიაშვილი,**
**სამართლის დოქტორი**

# ზაფხულის საძაგი დღეები

**ეროვნულმა ნაკრებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ არავისზე ნაკლები შესაძლებლობები არ გვაქვს და ტოლს არ ვუდებთ არც ერთ საჩემპიონო გუნდს, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.**

**კახა კალაძემ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამ წარმატებით ამაყია თავადაც და ყველა ქართველი გულშემატკივარი.**

ფეხბურთზე საუბრის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, კახა კალაძემ დედაქალაქის პრობლემები მიმოიხილა.

* * *

**...დედაქალაქის ქუჩებში ყოველდღიური მორეცხვის სამუშაოები დაიწყო.** მთელი ზაფხულის განმავლობაში სისტემატურად მოირეცხება ცენტრალური და მეორეხარისხოვანი გზები, საერთო ჯამში, 100-მდე ქუჩა.

სამუშაო პროცესში ჩართული იქნება „თბილსერვის ჯგუფის“ 20 ერთეული ტექნიკა. მორეცხვის სამუშაოები ყოველდღიურ რეჟიმში წარიმართება. თავისთავად ამინდზე ვართ დამოკიდებული და შესაბამისად, სამუშაოები ამინდის გათვალისწინებით ჩატარდება, – განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

**დედაქალაქში 10 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი შემოვიდა, 100 ერთეული კი წლის ბოლომდე ეტაპობრივად დაემატება.**

მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, შევისყიდეთ 160 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი. მოგვიანებით დავამატეთ 40 ერთეული. 50 ერთეული ავტობუსი ქალაქში სხვადასხვა მარშრუტზე უკვე გადაადგილდება. აღნიშნული შესყიდვის ფარგლებში, დედაქალაქში კიდევ 10 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი შემოვიდა, 100 ერთეული კი წლის ბოლომდე ეტაპობრივად მოგვეწოდება. მომავალი წლის ბოლომდე, უკვე შესყიდული 40 ერთეული ავტობუსი დაემატება დედაქალაქს...

თბილისის მერის განმარტებით, აღნიშნული ავტუბუსები მგზავრთა კომფორტულად და უსაფრთხოდ გადაყვანას სრულად უზრუნველყოფს.

სტატისტიკის მიხედვით, მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლეთა რაოდენობა გაზრდილია, ეს ტენდეცია კი მომავალშიც გაგრძელდება.

**„ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტად გაიზარდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა. სტატისტიკის მიხედვით, გაზრდილია მოხმარება, თუმცა გვაქვს რესურსი შედეგების მატების. 2017 წელს როდესაც სატრანსპორტო პოლიტიკაზე მუშაობა დავიწყეთ, შემცირებული იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის მაჩვენებელი. ამის მიზეზი მძიმე მდგომარეობაში მყოფი ავტობუსები და მიკროავტობუსები იყო. შესაბამისად, განვაახლეთ ავტობუსები, შემოვიყვანეთ ევროპული ტიპის ავტობუსები. ეს პროცესი დღესაც გრძელდება“**, – განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

**ივერთუბნის დასახლების 32 მისამართზე წყალარინებისა და სანიაღვრე ქსელები მოეწყო.**

...დაპირებისამებრ, განვაგრძობთ დედაქალაქში წყალარინების ქსელების მოწყობას. ამ მიმართულებით გვაქვს მთელი რიგი პრობლემები, რადგან არის უბნები, სადაც არანაირი კომუნიკაციები არ არსებობს. ბოლო წლების განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. ამჯერად, დავასრულეთ ივერთუბნის დასახლების 32 მისამართზე წყალარინების და სანიაღვრე ქსელების მოწყობა, რომელზეც 1 000-მდე მოსახლე დაერთდა. ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო ივერთუბანში, დიდი კერძო დასახლებაა, სადაც არ არსებობდა არანაირი კომუნიკაციები და ამ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანი იყო. ამავე დასახლებაში, წყალარინების ქსელის გამართული მუშაობისთვის, ორი წლის წინ სატუმბი სადგური მოეწყო, რაც ასევე მნიშვნელოვანი პროექტი იყო ადგილობრივებისთვის.

მთავრობის სხდომაზე მერმა ამ მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილ სხვა პროექტებზეც ისაუბრა.

– ამ დროისთვის, სამუშაოები გლდანის რაიონში მუხიანის აგარაკებზე და კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, რამდენიმე ქუჩაზე მიმდინარეობს. უახლოეს დღეებში, წყალარინების ქსელების მოწყობას სოფელ დიღომში განვაახლებთ, სადაც სამუშაოები რამდენიმე წლის წინ დავიწყეთ და მოსახლეობის ნაწილი ცენტრალურ ქსელზე დავაერთეთ. წელს სოფელ დიღომში სამუშაოები იგეგმება დავით სარაჯიშვილისა და მის მიმდებარე ქუჩებზე. აღნიშნული სამუშაოები დედაქალაქის ბიუჯეტიდან 3 700 000 ლარით დაფინანსდება. ასევე, მოსახლეობის თხოვნით, ანალოგიური სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში, გუმათის ქუჩაზე უახლოეს პერიოდში დაიწყება. პროექტის განსახორციელებლად დედაქალაქის ბიუჯეტიდან 600 000 ლარი გამოიყოფა...

აღნიშნულ პროექტებს თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური განახორციელებს.

* * *

**დედაქალაქში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი – სამგორის რაიონში, მიხეილ გახოკიძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია იწყება.**

ქუჩის სრული რეაბილიტაცია, მიწისქვეშა კომუნიკაციების მხრივ იქ არსებული უმძიმესი მდგომარეობის გამო, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ (GWP) და სხვადასხვა საკომუნიკაციო კომპანიასთან თანამშრომლობით დაიგეგმა.

„აღნიშნულ ქუჩაზე, ბოლო წლების განმავლობაში მოძველებული და ამორტიზებული მიწისქვეშა კომუნიკაციები გზის სავალ ნაწილს აზიანებდა და უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა, რაც გადაადგილებისას დიდ დისკომფორტს ქმნიდა. პირველი, რაც გაკეთდება, მიწისქვეშა კომუნიკაციების სრული განახლებაა. გზაზე არსებული უმძიმესი მდგომარეობაც გამოწვეულია კომუნიკაციების უვარგისობით. დაახლოებით, სამ კილომეტრამდეა აღნიშნული ქუჩა. პირველ ეტაპზე კომპანია GWP იმუშავებს და შემდეგი ეტაპი იქნება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. აქაც იგივე დამოკიდებულება გვექნება. ჩვენი მიდგომაა, რომ ახალი დიზაინის ქუჩები შეიქმნას. ეს პროექტიც ამ დიზაინით განხორციელდება. საჰაერო სადენები მიწისქვეშა კაბელ-არხებში განთავსდება, მოეწყობა გარე განათების ქსელი, დამონტაჟდება თანამედროვე ტიპის LED ლამპიონები. გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა ტროტუარები. ქუჩაზე ინფრასტრუქტურა ადაპტირდება შშმ პირებისთვის. სამუშაოები 12 ივლისს დაიწყება და ცხრა თვეში დასრულდება...









# ახალი გზის და გვირაბის მშენებლობა საბურთალოზე

**თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური უნივერსიტეტისა და ქავთარაძის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი გზის და გვირაბის მშენებლობის პროექტს ახორციელებს, – ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერიის პრესსამსახური ავრცელებს.**

მათივე ცნობით, მიმდინარე სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე საკრებულოს თავმჯდომარე და ვაკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ გიორგი ტყემალაძესთან ერთად გაეცნო.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, პროექტის შედეგად ბაგები-წყნეთიდან უნივერსიტეტის ქუჩისკენ წამოსული ნაკადები გადანაწილდება და მოძრაობა განიტვირთება.

„დავიწყეთ ახალი პროექტი, რომლის განხორციელების შედეგად, ბაგების ახალი ხიდიდან მომავალ ავტომობილებს პირდაპირ დააკავშირებს ქავთარაძის ქუჩასთან, შავიშვილის ქუჩის გავლით. ბაგები-წყნეთიდან წამოსული ნაკადები ძირითადად უნივერსიტეტის ქუჩის მიმართულებით მიდის. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე მოხდება ნაკადების გადანაწილება და მოძრაობის განტვირთვა. სამუშაოები მომავალი წლის იანვარში მთლიანად დასრულებული იქნება. პირველ მონაკვეთზე გვირაბი გაკეთდება, რომელიც შავიშვილის ქუჩას გაივლის და ქავთარაძის ქუჩას დაუკავშირდება.

პროექტის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ ქალაქში მსგავსი სამუშაოები მიმდინარეობს“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

აღნიშნული გვირაბი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყება და გასასვლელი მიხეილ შავიშვილის ქუჩას შეუერთდება, რომელიც პეტრე ქავთარაძის ქუჩასთან არის დაკავშირებული.

პროექტის ფარგლებში, გვირაბის მისასვლელ-გამოსასვლელი პანდუსები და ტროტუარები მოეწყობა. ასევე, ჩატარდება საიზოლაციო სამუშაოები, მოეწყობა სანიაღვრე ქსელი, დამონტაჟდება LED სანათები. ასევე, გვირაბის გასწვრივ რკინა-ბეტონის დამცავი კედლები აშენდება.

გვირაბში გათვალისწინებულია ავტოტრანსპორტის ორმხრივი მოძრაობა, თითო ზოლი თითო მიმართულებით.

**თბილისის მერთან ერთად, მიმდინარე სამუშაო პროცესს მერის მოადგილე ირაკლი ზენდელიანი, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი გია აბუთიძე, ვაკის რაიონის გამგებელი დავით კვინიკაძე და პარლამენტის დეპუტატი ნოდარ ტურძელაძე ადგილზე გაეცნენ.**



# საგადასახადო ამნისტიის ფარგლებში, 63 000-მდე ფიზიკურ პირს 300 მილიონი ლარი ჩამოეწერა



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური გადასახადის გადამხდელებს აცნობებს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დღეის მდგომარეობით – 63 000-მდე ფიზიკურ პირს 301 753 088.42 მილიონი ლარი (მათ შორის ძირი გადასახადი 104 007 281.39 ლარი, სანქცია 71 502 813.93 ლარი, საურავი 126 242 993.10 ლარი) უკვე ჩამოეწერა. აქვე განვმარტავთ, რომ აღიარებული საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა აქტიურად მიმდინარეობს, როგორც ელექტრონულად www.rs.ge პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (62 515 ფიზიკურ პირზე 278 640 854.30 ლარი), ასევე პირადი (329 ფიზიკურ პირზე 23 112 234.12 ლარი) მომართვის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის ინიციატივა შეეხება გადასახადის გადამხდელ ყველა ფიზიკურ პირს, მათ შორის მეწარმე სუბიექტებს და პროცესი გულისხმობს, იმ აღიარებული საგადასახადო დავალიანების, დარიცხული საურავების ჩათვლით ჩამოწერას, რომელიც წარმოშობილია 2021 წლის პირველ იანვრამდე. განმსაზღვრელი ფაქტორი, რის გამოც აღნიშნული პერიოდი (2021 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება) შეირჩა, საგადასახადო ხანდაზმულობაა.

მნიშვნელოვანი გარემოებაა, ის რომ დავალიანების ჩამოწერის შემდგომ, ფიზიკური პირის მიმართ გადახდევინების უზრუნველსაყოფად განხორციელებული იძულებითი ღონისძიებები – საგადასახადო გირავნობა, იპოთეკა, ქონებაზე ყადაღის დადება და ა. შ ავტომატურად გაუქმდება. აღნიშნული საგადასახადო შეღავათი ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართულობას ეკონომიკურ საქმიანობაში.

# ევროპარლამენტს მეტი ძალაუფლება უნდა მიეცეს!..



**ბრიუსელში ევროკავშირის ლიდერთა სამიტი ჩატარდა. მას, უკრაინის გარდა, ალიანსის ხელმძღვანელობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა, რომელიც ევროკავშირს ჩაუდგება სათავეში ევროპარლამენტის არჩევნების შემდეგ. სამიტამდე უკვე ცნობილი იყო თუ ვის რა თანამდებობა შეხვდებოდა.**

ევროკავშირის ხელმძღვანელების დანიშვნის პროცესი ოდნავ განსხვავდება ქვეყნების ლიდერთა დანიშვნის პროცესისგან: თუ ქვეყნის ლიდერის არჩევაში მთავარი ხმა პარლამენტს ეკუთვნის, აქ ევროპის ლიდერები იღებენ გადაწყვეტილებას. ამიტომ, სამიტამდე, ევროპის ლიდერთა და ევროპარლამენტის ორი ფრაქციის, სოციალისტებისა და კონსერვატიულ-ცენტრისტების მეთაურების კულუარული შეხვედრები გაიმართა.

ევროკავშირის ხელმღვანელობის სამეული ასე გამოიყურება: ევროკომისიის ლიდერი, უკვე, მეორეჯერ **ურსულა ფონ დერ ლაიენი** იქნება. ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა ხელმძღვანელის პოსტზე ჟოზეფ ბორელს ესტონეთის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი **კაი კალასი** ჩაანაცვლებს. ევროპული საბჭოს პრეზიდენტობის თანამდებობაზე კი, შარლ მიშელის ნაცვლად, პორტუგალიის ექსპრემიერი **ანტონიო კოშტა** იმუშავებს. ამ კანდიდატურების წარდგენამ ულტრა მემარჯვენეების უკმაყოფილება გამოიწვია.

იტალიისა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრებიც უკმაყოფილონი დარჩნენ. **ჯორჯა მელონიმ** მხარი არ დაუჭირა მათ და განაცხადა, რომ ევროკავშირში საკვანძო თანამდებობებზე ამ კანდიდატების არჩევა კონსერვატიული ძალების წარმატებისა და ევროპელი ამომრჩევლის მისწრაფებების უარყოფას ნიშნავს. სამიტამდე, მელონიმ, იტალიის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, კანდიდატები გააკრიტიკა. მისი აზრით, **ევროკომისიის დაკომპლექტების პროცედურა უნდა გადაიხედოს და ევროპარლამენტს მეტი ძალაუფლება უნდა მიეცეს.** მან ასევე აღნიშნა, რომ ზოგიერთმა დიდმა ქვეყანამ ყველაფერი გააკეთა, რომ ამ თანამდებობებზე იტალიელი არ ყოფილიყო.

როგორც ევროპის მასმედიაში გაჟღერდა, მელონიმ საფრანგეთის პრეზიდენტი და გერმანიის ბუნდეს კანცლერი იგულისხმა. დანიშვნებმა არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰპოვა ევროპის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მასმედიის აზრით, ურსულა ფონ დერ ლაიენისა და კაი კალასის დანიშვნით ბრიუსელი ხისტ სიგნალს უგზავნის მოსკოვს. ეს ქალბატონები მწვავე ანტირუსული პოლიტიკით გამოირჩევიან. ისინი რუსეთის მიერ დასანქცირებული პოლიტიკოსები არიან. უფრო მეტიც, ექსტრემისტული საქმიანობისთვის, კაი კალასი რუსეთმა ძებნაში გამოაცხადა. ამიტომ, ბევრი მიიჩნევს, რომ ისინი ვერ შეუწყობენ ხელს უკრაინაში მშვიდობის დამყარებას. სოციალისტ ანტონიო-კოშტას მიმართ მასმედიას სულ სხვა კითხვები აქვს. ის კორუფციულ სკანდალში იყო გახვეული, რის გამოც, შარშან, პორტუგალიის პრემიერ-მინისტრის პოსტი დატოვა. გამოძიებამ კოშტა გაამართლა, მაგრამ მისი პოლიტიკური იერსახე შელახულია. მეორე მხრივ, ყველასთვის ნათელია, თუ რატომ წარადგინეს კოშტა ამ თანამდებობაზე. ის ძალიან პოპულარულია ევროპელ სოციალისტებში.

**კონსერვატიულ-ცენტრისტულ ძალებს კი, სოციალისტების ხმა სჭირდებათ. მოკლედ, სამეულის დამტკიცება ევროპარლამენტში ადვილი იქნება. სულ, 361 ხმაა საჭირო. ევროპის სახალხო პარტიას, სოციალისტებსა და ლიბერალებს კი, 400 დეპუტატი ჰყავთ. დასკვნა მარტივი გასაკეთებელია.**

# რუსეთ-უკრაინის ომს პირველად გამოუჩნდა მშვიდობის პირი...



**ამერიკას არ სურს ფლორიდის მახლობლად ასეთი გემების ხილვა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქვეყნის დღევანდელი ხელმძღვანელობა მდგომარეობას ვერ აკონტროლებს...**
*დონალდ ტრამპი*

**რუსეთს რევიზიონისტული იდეები აწუხებს. დასავლეთს, გამუდმებით, საერთაშორისო წესრიგის დაშლით ემუქრება. საბჭოთა კავშირის დროინდელ გეოპოლიტიკურ გავლენაზე ოცნებობს, რისი უტყუარი ნიშანი, მისი ჩრდილოეთ კორეასთან დაახლოების მცდელობაა. ამჯერად, ამერიკის შესაშფოთებლად, ჰავანის პორტს რუსეთის სამხედრო ფლოტის მედროშე ხომალდები ეწვია, მათ შორის, ცნობილი ფრეგატი „გორშკოვი“, ატომური წყალქვეშა ნავი „კაზანი“ და კიდევ ორი შეიარაღებული ხომალდი. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი რანგის ოფიცერთა დელეგაციას, პირადად, კუბის პრეზიდენტი შეხვდა. ფრეგატი „გორშკოვი“ და წყალქვეშა ნავი უმძლავრესი თანამედროვე ჰიპერბგერითი რაკეტებით, ცირკონითა და კალიბრითაა აღჭურვილი.**

საჭიროების მიხედვით, ამავე ხომალდებზე, ბირთვული იარაღიც შეიძლება განთავსდეს. ჰავანის პორტში შესვლამდე, ნეიტრალურ წყლებში, ხომალდებმა სამხედრო წვრთნები განახორციელეს. ამ ვიზიტმა ამერიკის მმართველ წრეებში მართლა გამოიწვია შეშფოთება. ითქვა რომ, პანიკაში არავინაა, მაგრამ ფაქტი ნამდვილად არასასიამოვნოა. განსაკუთრებით მწვავე რეაქცია დონალდ ტრამპს ჰქონდა, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკას არ სურს ფლორიდის მახლობლად ასეთი გემების ხილვა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქვეყნის დღევანდელი ხელმძღვანელობა მდგომარეობას ვერ აკონტროლებსო. შეშფოთებული რესპუბლიკელების დასამშვიდებლად, პენტაგონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყურადღებით უთვალთვალებს რუსულ ხომალდებს. კუბის მიმდებარე წყლებში სამი ამერიკული სამხედრო ხომალდი დგას, და გუანტანამოს პორტში მყოფი წყალქვეშა ნავი თვალს არ აშორებს რუსულ სამხედრო გემებს.

რუსეთის ხელმძღვანელობა, ალბათ, გახარებულია ამ აჟიოტაჟით, რადგან, ვიზიტის მიზანი რუსეთის სამხედრო ძლიერების დემონსტრირება იყო. რუსეთი საბჭოთა კავშირის პოლიტიკას იმეორებს. მაშინაც ხდებოდა განვითარებადი ქვეყნების გადაბირება და, შესაბამისად, დასავლეთის პროვოცირება. ბუნებრივია, დასავლეთი რუსეთის ასეთ მოძრაობაზე მწვავედ რეაგირებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მის მიერ დასმულ რიტორიკულ შეკითხვაში გამოსჭვივის: გვიღირს კი უკრაინის გამო რუსეთთან ასეთი კონფრონტაცია? ჯერჯერობით, დასავლეთის ელიტა პასუხობს, გვიღირსო, მაგრამ ევროპელი ულტრა-მემარჯვენეები და ამერიკელი რესპუბლიკელები, დონალდ ტრამპის მეთაურობით, ამ აზრს არ იზიარებენ. უკრაინის ხელმძღვანელობა დაფიქრებულია და, ამ ბოლო დროს, ომთან და მის დასასრულთან დაკავშირებით, შედარებით, კომპრომისულ აზრებს გამოთქვამს.

ეტყობა, ტრამპისა და ულტრა-მემარჯვენეთა შესაძლო ტრიუმფი აწუხებთ. უკრაინამ მშვიდობაზე საუბარი დაიწყო, ვინიცობაა, ახლო მომავალში კონსერვატორებთან მოუწიოს თანამშრომლობა. ზელენსკიმ განაცხადა, რომ, მალე, მსოფლიოს ახალ სამშვიდობო გეგმას წარუდგენს. არც ცეცხლის დროებით შეწყვეტაზე ამბობს უარს და, ახალ ფორმატში, რუსეთთან მოლაპარაკებაზეც თანახმაა. ადრე, ზელენსკი, მოლაპარაკების დაწყებამდე, რუსეთის სამხედრო ძალების მიერ უკრაინის ტერიტორიის მთლიანად დატოვებას ითხოვდა, რაზეც რუსეთი კატეგორიულ უარს ამბობდა. ახლა, მისი თქმით, მოლაპარაკების დაწყება შეიძლება, თუ რუსეთის სამხედრო ძალები სროლას შეაჩერებს და უკრაინის ჯარისთვის უსაფრთხო დისტანციაზე გადავა.

ზელენსკი 2022 წლის სტამბულის მოლაპარაკებების ფორმატზეც თანახმაა. მისი გაჟღერებული კომპრომისული იდეები ამერიკის მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი, რაზეც სხვა ფაქტიც მეტყველებს: ზელენსკიმ ამერიკულ გამოცემა, **The Philadelphia Inquirer**-ს ვრცელი ინტერვიუ მისცა, სადაც მან კომპრომისული ტონი აირჩია, როცა უკრაინის შესახებ ტრამპის გეგმაზე საუბრობდა. ადრე, ტრამპმა განაცხადა, რომ უკრაინის ომის დამთავრების გეგმას წარმოადგენდა, რომლის მიხედვით უკრაინა რუსეთს ზოგ ტერიტორიას დაუთმობს. ნატოს წევრობის საკითხი კი, დროებით გაიყინება. სანაცვლოდ, რუსეთი ომს შეაჩერებს და უკრაინიდან ჯარებს გაიყვანს. ამაზე ზელენსკიმ განაცხადა, რომ ტერიტორიის დაკარგვა ცუდი იდეაა, რომელ ქვეყანასაც არ უნდა ეხებოდეს ეს, თუმცა, თუ სანაცვლოდ მივიღებთ მშვიდობას, უსაფრთხოებას, ეკონომიკურ განვითარებასა და გარანტიას, რომ მოსკოვი თავს აღარ დაგვესხმის, საკითხის განხილვა შეიძლება. სწორედ, ზელენსკის ამ ინტერვიუსა და გაჟღერებული კომპრომისის შემდეგ ეწვია კიევს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი. მშვიდობას, თითქოს, მართლა გამოუჩნდა პირი პირველად!



**ნუგზარ ბ. რუხაძე.**
POSTV



**ზელენსკიმ განაცხადა, რომ, მალე, მსოფლიოს ახალ სამშვიდობო გეგმას წარუდგენს. არც ცეცხლის დროებით შეწყვეტაზე ამბობს უარს და, ახალ ფორმატში, რუსეთთან მოლაპარაკებაზეც თანახმაა.**

## ომი სიცოცხლეს ანადგურებს!

**როგორია რუსეთის სამხედრო დანაკარგები უკრაინასთან ომში — 9 ივლისის მონაცემები**

**უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ გამოქვეყნებული დღევანდელი მონაცემებით, ომის დაწყებიდან 2024 წლის 9 ივლისამდე პერიოდში, რუსეთის არმიის საბრძოლო დანაკარგი არის:**

**ცოცხალი ძალა** – დაახლოებით 553 410 ადამიანი (გასულ დღე-ღამეში +1 220);
**ტანკი** – 8 178 ერთეული (+7);
**ჯავშანტექნიკა** – 15 704 ერთეული (+19);
**საარტილერიო სისტემა** – 15 015 ერთეული (+49);
**MLRS** – 1 115 ერთეული (+0);
**საზენიტო საბრძოლო სისტემა** – 880 ერთეული (+0);
**თვითმფრინავი** – 361 ერთეული (+0);
**ვერტმფრენი** – 326 ერთეული (+0);
**უპილოტო საფრენი აპარატის ოპერატიულ-ტაქტიკური დონე** – 11 922 ერთეული (+29);
**ფრთოსანი რაკეტა** (ჩამოაგდეს) – 2 389 ერთეული (+36);
**გემი/ნავი** – 28 ერთეული (+0);
**წყალქვეშა ნავი** – 1 ერთეული (+0);
**მანქანები და საწვავის ავზები** – 20 212 ერთეული (+62);
**სპეცტექნიკა** – 2 516 ერთეული (+13).

**შეგახსენებთ, რომ რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო.**



# ვლადიმერ პუტინმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ნარენდრა მოდის უმასპინძლა

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავის რეზიდენციაში გუშინ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს, ნარენდრა მოდის უმასპინძლა. მხარეებმა არაფორმალური მოლაპარაკებები გამართეს.**

„ჩვენი ოფიციალური მოლაპარაკებები ხვალ დაიწყება, მაგრამ დღეს ჩვენ შეგვიძლია, მშვიდად განვიხილოთ იგივე საკითხები, თუმცა არაოფიციალურად“, – განუცხადა პუტინმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს.

ამასთან, ვლადიმერ პუტინმა მიულოცა ნარენდრა მოდის ხელახალი არჩევა პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნარენდრა მოდი მოსკოვში ორდღიანი სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა.

# უკრაინაზე თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 33-მდე გაიზარდა, ხოლო 140 დაშავდა



**რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე განხორციელებული 8 ივლისს თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 33-მდე გაიზარდა, ხოლო 140 დაშავდა. ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების სამსახური ავრცელებს.**

ამასთან, მაშველები გადარჩენილი ადამიანების შესახებაც ავრცელებენ ინფორმაციას, 11 ადამიანი მათ კიევში გადაარჩინეს, ხოლო რვა – დნეპროპეტროვსკის რეგიონში.

კიევის ბავშვთა საავადმყოფოს ტერიტორიაზე, რომელზეც ასევე თავდასხმა მოხდა, იმყოფებოდა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი. მას უცხოელი დიპლომატებიც შეუერთდნენ, მათ შორის, კანადის ელჩი.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, მასიური თავდასხმის დროს რუსებმა გამოიყენეს 38 სხვადასხვა რაკეტა, ახალი ჰიპერბგერითი იარაღი, მათ შორის „კინჟალის“ და „ისკანდერ ემის“ ტიპის ბალისტიკური რაკეტები, ასევე „ცირკონის“, „ხ-101“-ის, „კალიბრის“, „ხ-22“-ის ტიპის რაკეტები.

# ბაიდენს საკუთარი კანდიდატურის მოხსნისკენ კიდევ ოთხი დემოკრატი მოუწოდებს

**ჯო ბაიდენს საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის მოხსნისკენ კიდევ ოთხი დემოკრატი კონგრესმენი მოუწოდებს.**



**Politico**-ს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის უმცირესობის ლიდერმა პალატის წევრებთან 2-საათიანი სატელეფონო კონფერენცია გამართა, ოთხმა დემოკრატმა კონგრესმენმა ბაიდენის განზე გადგომა მოითხოვა, კიდევ ოთხმა დემოკრატმა კი არჩევნებში პრეზიდენტის გამარჯვების შანსზე შეშფოთება გამოთქვა.

დემოკრატიული პარტიის შიგნით არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, პრეზიდენტი ჯო ბაიდენი საპრეზიდენტო რბოლას არ ეთიშება და დონალდ ტრამპის წინააღმდეგ გამარჯვებას გეგმავს.

# ოჰ, ეს ამოუცნობი ჩინეთი!

## ასეთი ნომრების მქონე ბინები პრობლემებს „იზიდავს“... რა უნდა გააკეთოთ ენერგეტიკის შესაცვლელად?!



**ფენგ შუის ჩინური სწავლების მიხედვით, არსებობს ბინებისა და სახლების იღბლიანი და უიღბლო რიცხვები. პირველი იზიდავს წარმატებას და კეთილდღეობას, მეორეს კი პირიქით, მოაქვს უბედურება და მუდმივი კონფლიქტები. როგორ გავარკვიოთ, რა ენერგიას შეიცავს თქვენი მისამართის ნომერი?**

ჩინური სწავლების თანახმად, არსებობს სამი უიღბლო რიცხვი – 4, 5 და 7.

ნომერი 5 - შეიძლება ნიშნავდეს „არა“ ან „არაფერს“ და ასევე ჟღერს ჩინურ სიტყვაში, როგორც „ტირილი“, ასე რომ, შეიძლება ამ რიცხვმა შემოიტანოს დაკარგვის ან დეპრესიის გრძნობა თქვენს სახლში.

რიცხვ 7-ს აქვს რამდენიმე ორაზროვანი მნიშვნელობა. ეს შეიძლება მოტყუების, ტყუილის ან თაღლითობის სიმბოლო იყოს, მაგრამ მას ასევე აქვს დადებითი მნიშვნელობები – როგორიცაა გაჩენა და ერთიანობა.

ფენგ შუის ყველა ცუდი რიცხვიდან 4 ყველაზე უიღბლოა. ეს რიცხვი ჩინელებისთვის ძალიან ჰგავს სიტყვას, რომელიც სიკვდილს ნიშნავს. ამიტომ ჩინეთში ზოგიერთ ლიფტს მეოთხე სართულის ღილაკიც კი არა აქვს.

ფენ შუის ყველაზე იღბლიანი რიცხვებია 0, 2, 6, 8 და 9.

აი რას გულისხმობენ ისინი:

0 - ჟღერს სიტყვა, როგორც „კარგი“ და ნიშნავს უსაზღვრო პოტენციალს და მთელი ცხოვრების დასაწყისს;

9 - სიმბოლოა დღეგრძელობისა და მარადისობის, რაც მას პოპულარულ რიცხვად აქცევს. ეს ასევე დაკავშირებულია რომანტიკისა და ქორწილების ფენომენთან.

6 - ეს რიცხვი ჟღერს, როგორც „იღბალი“ და ამიტომ 6 ფენგ შუიში ძალიან იღბლიანად ითვლება;

2 - ნიშნავს სიმეტრიას, წონასწორობას, ბედნიერ ქორწინებას და ჟღერს როგორც „ცხოვრების გაადვილება“.

8 არის ყველაზე იღბლიანი რიცხვი, რომელსაც მოაქვს კეთილდღეობა, სიუხვე, სიმდიდრე და წარმატება.

და ბოლოს, რიცხვები 1 და 3 ზოგადად, ნეიტრალურად ითვლება და დამოკიდებულია მათ გარშემო არსებული რიცხვების კონტექსტზე.

თუ თქვენს სახლში არის ერთი ან მეტი უიღბლო ნომერი, ნუ ჩქარობთ მისამართის შეცვლას. ფენგ შუი პრობლემის საკმაოდ მარტივ გადაწყვეტას გვთავაზობს, ყველაფერი რაც უნდა გააკეთოთ, არის თქვენი მისამართის ნომრების გარშემო წრიული ფორმის შექმნა. ანუ შემოხაზეთ სახლის ან ბინის ნომერი. ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ გარე საღებავი, დაამზადოთ სანომრე ნიშანი, ან თუნდაც ცარცით გამოთვალოთ ნომრები ვითარების დროებით გამოსასწორებლად.

# არსებობდნენ თუ არა ოდესმე გიგანტური ადამიანები?!

## მეცნიერებმა სიმართლე გამოავლინეს

**ათასობით წლის განმავლობაში ადამიანები ყვებოდნენ ისტორიებს გიგანტების შესახებ. ეს მხოლოდ ფიქციაა, თუ გიგანტური ხალხი ნამდვილად არსებობდა?**

თუ 2 მეტრზე მეტი სიმაღლის ადამიანი გიგანტად ითვლება, მაშინ კი! – ასეთი ადამიანი ნამდვილად არსებობდა. ჩვენ ვსაუბრობთ მსოფლიოში ყველაზე მაღალ ადამიანზე, რობერტ უოდლოუზე, რომელიც გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, 2,72 მეტრის სიმაღლის იყო. იგი 1940 წელს 22 წლის ასაკში გარდაიცვალა.

აღნიშნულია, რომ უოდლოუ გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე მამაკაცის საშუალო სიმაღლე შეერთებულ შტატებში, რაც 1,75 მეტრია. ამასთან, იგი გოლიათის ბიბლიური აღწერილობების ზოგიერთ ინტერპრეტაციაზეც მაღალი იყო. თუმცა, უოდლოუს შემთხვევა არ იყო ჯადოსნური, რადგან მისი ზრდა ავადმყოფობასთან იყო დაკავშირებული.

„უმრავლეს (გიგანტ) პაციენტს აქვს ზრდის ჰორმონის პრობლემები. სწორედ ეს ჰქონდა რობერტ უოდლოუს“, – განაცხადა ენდოკრინოლოგიის პროფესორმა მართა კორბონიცმა.

მისი თქმით, გიგანტიზმის მთავარი მიზეზი ზრდის ჰორმონის დონის მატებაა, რომელსაც თავის ტვინში ჰიპოფიზის ჯირკვალი გამოიმუშავებს. ძირითადად ეს მაღალი დონე გამოწვეულია კეთილთვისებიანი სიმსივნით.



„ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვიხილოთ სხვა ისეთი მაღალი ადამიანი, როგორიც უოდლოუ იყო, არის ის, რომ ექიმებს ახლა შეუძლიათ სიმსივნის ამოღება და წამლების გამოყენება ზრდის შეჩერების მიზნით, რადგან გიგანტიზმი და სიმსივნე საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. სხვა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების გახდომა“, – განმარტა ექიმმა.

თუმცა, ზოგიერთი ადამიანი იზრდება ექსტრემალურ სიმაღლეებამდე ცნობილი სამედიცინო პირობების გარეშე, მათ შორის მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაცი **ბაო ქსიშუნი,** რომელიც 2,36 მეტრი სიმაღლისაა. ასეთ ადამიანებს, სავარაუდოდ, სიმაღლისკენ გენეტიკური მიდრეკილება აქვთ...

◎ კვარცხლბეკზე

# ბრინჯაო ხმლით

**ვარშავაში მიმდინარე 2024 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ეტლით მოფარიკავე ქალთა ნაკრებმა გუნდურ ტურნირში იასპარეზა და მესამე ადგილი დაიკავა.**

ჩვენმა გუნდმა თავი ხმლით ფარიკაობაში გამოიჩინა.

საქართველოს ნაკრები პლანეტის პირველობაზე **ირმა ხეცურიანის, ნინა თიბილაშვილის** და **გვანცა ზადიშვილის** შემადგენლობით გამოდიოდა და ბრინჯაოსთვის შეხვედრაში იტალიის გუნდი ანგარიშით – 45:37 დაამარცხა.



◎ ტრიუმფი




# ლეკაიძე ჩემპიონია!

**ბათუმში, მეტრო სითის ტერიტორიაზე, სტრონგმენში 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა და ნიკა ლეკაიძემ ოქროს მედალი მოიპოვა.**

8 ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებს შორის ჩემპიონმა ქართველმა პირველობა არავის დაუთმო. ვერცხლს ლატვიელი ვალენტინს კლევინკინსი დაუფლა, ბრინჯაოს მედალი კი ჩეხმა იან ლაჩინამ მოიპოვა. რაც შეეხება IV და V ადგილებს, ისინი შოთა გოგობერიშვილმა (საქართველო) და ერიკ ერიქსონმა (დანია) გადაინაწილეს.

ჩემპიონატი აჭარის სპორტის დეპარტამენტისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

◎ მხარე

# ასიანთა კლუბი

**საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ქუთაისის სპორტის სასახლემ კარატეს საერთაშორისო ჩემპიონატს უმასპინძლა.**

ტურნირზე, რომელშიც 4 ქვეყნის 400-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, ქართველმა კარატისტებმა 100-ზე მეტი მედალი მოიპოვეს.

აღნიშნული ტურნირი საselექციო ხასიათსაც ატარებდა და ნაჩვენები შედეგებით ახალგაზრდული ნაკრებები დაკომპლექტდება, რომლებიც მომავალში პრესტიჟულ საერთაშორისო ფორუმებზე მიიღებენ მონაწილეობას.

ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ტურნირს ფედერაციის დამფუძნებლის **ზურაბ ლეჟავას** სახელი მიენიჭა.



◎ სკანდალი

# არა არს დაფარული

**მაქსიმალურად თავს ვიკავებდით გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან, მაგრამ რადგან საქართველოს რაგბის კავშირი აქამდე დუმილს ინარჩუნებს, იძულებულნი ვართ ის მაინც გაუწყოთ აქტუალური, უფრო სწორად – სკანდალური საკითხის შესახებ, რაც ტელეეთერიდან გახდა ცნობილი.**

როგორც მოგეხსენებათ, საზაფხულო სატესტო სერიის პირველი მატჩი **რიჩარდ კოკერილის** გაწვრთნილმა ბორჯღალოსნებმა ბათუმის აჭარაბეთ არენაზე ფიჯის ეროვნულ ნაკრებთან 12:21 წააგეს და ტრადიციულად თავის უხერხულ მეტოქესთან ისედაც სავალალო ბალანსი კიდევ უფრო გაიუარესეს – 1 მოგება, 1 ფრე და უკვე 6 წაგება.

შესაბამისად, ჩვენი გუნდი საერთაშორისო რეიტინგშიც მე-13 პოზიციიდან მე-14-მდე დაქვეითდა და წინ სამოა გაუშვა, რომელმაც შინ იტალია დაამარცხა – 32:25. ნეტავი, მხოლოდ აღნიშნული ფაქტით შემოიფარგლებოდეს ის სატკივარი, რამაც თავი ვეღარ დამალა.



როგორც მოგეხსენებათ, კუნძულელებთან არ უთამაშიათ მასპინძელთა კაპიტანს **შარიქაძეს, მოდებაძეს, ხმალაძეს, ჭყოიძესა** და **ლაშხს.** ბუნებრივია, როცა უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში ლიდერისა და მის გამობრძმედილ პარტნიორთა ბირთვის გარეშე შევდივართ, ათასი კითხვა გვიჩნდება.

და აი, როგორც ირკვევა, იძულებითი პაუზის მიზეზი, არც მეტი და არც ნაკლები, დოპინგის გამოყენება და ანალიზებით მანიპულირება ყოფილა, რაც სამწუხაროდ ოფიციალურ სტრუქტურებთან დაახლოებულმა ფრანგმა კოლეგამაც დაადასტურა, რომელმაც ისიც დასძინა,საკითხის შესწავლა მსოფლიო რაგბიმაც დაიწყოო.

ქართველ ფეხბურთელთა დიდებული ევროპული დებიუტის ფონზე სამამულო სპორტის ერთ-ერთ სიმბოლოდ მიჩნეულ სარაგბო თემში განვითარებული საგანგაშო მოვლენები დიახაც წარმოადგენს ოლიმპიური სეზონის შავ ლაქას. ვიმედოვნებთ, ოფიციოზი აწი მაინც იტყვის რამეს.

◎ ხუთი რგოლი

# ცოდვამ უწიათ




**უკვე გაუწყეთ, რომ რიგაში გამართულ კალათბურთელთა ოლიმპიურ სალიცენზიო საკვალიფიკაციო ტურნირზე მასპინძლებმა უღალატეს როგორც ფეარ-პლეის პრინციპებს, ისე ორ ქვეყანას შორის რატომღაც მეგობრულად მიჩნეულ ურთიერთობებს და ფილიპინებთან, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო წაგებით, რომელსაც აშკარად დაწოლის სუნი ასდიოდა, დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს ნაკრების უპარიზოდ დარჩენაში.**

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ლატვიამ ფინალში გააღწია და სანუკვარი მიზნის მიღწევამდე ერთი ნაბიჯის გადადგმაღა აკლდა, მაგრამ რაც არ ერგებოდა, საბოლოოდ არც შეერგო.

ბალტიისპირელთა ცოდვაში ფეხი ბრაზილიამ ჩადგა, რომელმაც მეტოქე პირველივე პერიოდში დაანოკაუტა – 34:11 და მატჩის ბოლომდე არ მიუცია მისთვის წამოწევის საშუალება – 94:69(!).

დავძენთ, რომ დანარჩენი ჯგუფებიდან პარიზის საგზური მოიპოვეს საბერძნეთმა, ესპანეთმა და პუერტო-რიკომ, რომელმაც სენსაციურად სძლია ლიეტუვას.

საბოლოოდ პარიზის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის ჯგუფებმა ასეთი სახე მიიღო.

**„ა" ჯგუფი** – ავსტრალია, საბერძნეთი, კანადა, ესპანეთი.

**„ბ" ჯგუფი** – საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ბრაზილია.

**„გ" ჯგუფი** – სერბეთი, სამხრეთ სუდანი, აშშ, პუერტო-რიკო.

◎ მოვლენის შემდეგ

# სატრანსფერო ციებ-ცხელება

**ძნელად, მაგრამ მაინც თანდათან გამოვდივართ ეიფორიიდან და ევრო 2024-ზე ხმაურიანი დებიუტის შემდგომი პერიოდის შესახებაც ვიწყებთ ფიქრს. მართლაც, როგორი იქნება ქართული ფეხბურთის სანაკრებო მომავალი? (დიახ, ამჯერად მხოლოდ სანაკრებო, რადგან მიზეზთა და მიზეზთა გამო საკლუბო პერსპექტივა ჯერაც საკმაოდ ბუნდოვნად გვესახება).**

უპირველესად, რადგან სატრანსფერო ფანჯარა თავისას მოითხოვს, ჯვაროსანთა შესაძლო დაწინაურების ვარიანტებზე შევჩერდეთ, მით უმეტეს, მათი სოლიდური ნაწილის მიერ გერმანიის სტადიონებზე ნაჩვენები შთამბეჭდავი თამაშის ხარისხისა და ტოპ-კლუბების მხრიდან გამოჩენილი დაინტერესების გათვალისწინებით.

უკანასკნელი მონაცემებით, თითქმის გადაწყვეტილია ბორდოდან სენტ ეტიენში **ზურიკო დავითაშვილის** გადასვლა, რომელიც უკვე ჩასულა საფრანგეთის ათგზის ჩემპიონის ბაზაზე და კონტრაქტის გაფორმებამდე სამედიცინო შემოწმების გავლა ჰქონია დარჩენილი.

რაც შეეხება ამავე ქვეყანაში გამორჩეულად მოკაშკაშე ქართულ ბრილიანტს **გიორგი მიქაუტაძეს,** მის მრავალრიცხოვან მაძიებელთა გრძელ სიას რომაც შეუერთდა და მაშინ, როცა ჯალოროსი ლუკაკუმ და ბელოტიმ დატოვეს, ევროპული ფორუმის ბომბარდირის მარადიულ ქალაქში გადაბარგება სავსებით რეალურად გამოიყურება, თუმცა ნურც მონაკოსთან ჩვენებურის წინასწარ სიტყვიერ შეთანხმებას დავივიწყებთ..



დღემდე პოპულარულია ვალენსიასთან **გიორგი მამარდაშვილის** გამოთხოვების ამსახველი კადრები, მაგრამ მას შემდეგ, რაც კონტინენტის მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო მეკარის ნიუკასლში აღზევების პროცესი შეჩერდა, კონკრეტული ვარიანტი აღარ გამოჩენილა, თუმცა პრემიერლიგის გარდა ნურც ბაიერნიდან მიმავალი ნოიერის შემცვლელად მიწვევას გამოვრიცხავთ, ოღონდ ძირითადი შემადგენლობის წევრობის გარანტიით და ესპანელთა გაზრდილი მადის ფონზე.

ბუნებრივია, გულშემატკივარს განსაკუთრებით აღელვებს **ხვიჩა კვარაცხელიას** ხვედრი, რომელმაც საყოველთაო აღიარებით ნაპოლიში დადგმული სპექტაკლებით ქართული ფეხბურთი საღათას ძილიდან გამოაღვიძა. თითქოს ნაკრების ლიდერს ტოპ-პლუბების სახით მსურველი არ აკლდა, მაგრამ კამპანიელთა ახალი თავკაცის ანტონიო კონტეს კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც ნაპოლის აღორძინებას სწორედ კვარადონას გარშემო აპირებს, აურელიო დე ლაურენტისმა საჯაროდ არაერთხელ განაცხადა – ხვიჩა არ იყიდებაო. რასაკვირველია, ეს განუსაზღვრელი ფინანსური რესურსებით მოყელყელავე პარი სენ-ჟერმენსაც ეხება, თუმცა ვინ იცის – ფული ხომ ჯოჯოხეთს ანათებს და საარაკო ექვსნულიანი შეთავაზებებით არაერთი დროებით მინავლებული კონტრაქტი გაჩარხულა.

სოლისტების შემდეგ მთლიანად ჩვენს საამაყო გუნდს დავუბრუნდეთ, რომელსაც მხოლოდ 2-თვიანი შესვენების შემდეგ ერთა ლიგის მორიგ გათამაშებაში ჩაბმა 7 სექტემბერს შინ ჩეხებთან მატჩით მოუწევს. ამავე ჯგუფში ვილი სანიოლის გუნდის მეტოქეები ალბანეთი და უკრაინა იქნებიან და მე-2 დივიზიონი ნოემბერში დასრულდება, მუნდიალ – 2026-ის წილისყრა კი (აშშ, კანადა, მექსიკა) დეკემბერშია დანიშნული.

საქართველოს რესპუბლიკა

# როგორ გაეცნო კაცობრიობა ბოტულიზმს?!

**ბოტულიზმი მწვავე ინფექციურ-ტოქსიკური დაავადებაა, რომლის გამომწვევია სპორებიანი ბაცილა (ანაეროზული მიკროორგანიზმი — Clostridium botulinum) და მისი ტოქსინი, რომელიც, უმთავრესად, ცენტრალურ ნერვულ სისტემას აზიანებს. კლოსტრიდია ბინადრობს ცხოველებისა და თევზების ნაწლავებში, გარემოში (ნიადაგში) წარმოქმნის სპორებს და, ჩვეულებრივ, ნიადაგის მიკროფლორის წარმომადგენელია.**



ბოტულიზმი ინტოქსიკაციით (მოშხამვით) და ნერვული სისტემის დაზიანებით მიმდინარეობს. დაავადება ვითარდება ტოქსინიანი პროდუქტის მოხმარებიდან 18-36 საათში. ყველაფერი დამოკიდებულია მიღებული ტოქსინის რაოდენობაზე და რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე მერყეობს. დამახასიათებელია მხედველობის გაორება, არტიკულაციისა და ყლაპვის დარღვევა, თვალის ქუთუთოს დამბლა. აღინიშნება აგრეთვე მუცლის ყრუ ტკივილი, გულისრევა, ღებინება, თავბრუსხვევა, პირის სიმშრალე.

მძიმე შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს ავადმყოფის დაღუპვა რამდენიმე საათში. მკურნალობა აუცილებელია სტაციონარის პირობებში, ანტიტოქსიკური შრატით.



ბოტულიზმის გამომწვევი ბაცილა ყოველთვის ადამიანების გვერდით ცხოვრობდა, მაგრამ ის მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს აღმოაჩინეს. 1895 წლის 14 დეკემბერს ბელგიის სოფელ ელსელში დაკრძალეს ადგილობრივი ორკესტრის ლიდერი 87 წლის ანტუან კრეტერი. რესტორან **Le Rustic**-ში, დაკრძალვის სუფრაზე მივიდა ბენდის 34 მუსიკოსი, გარდაცვლილის მეზობლები, ნათესავები და მეგობრები.




### რესტორანი „Le Rustic“

**მაგიდაზე** ბევრი ალკოჰოლი და შესანიშნავი საკვები იყო, მაგრამ ყველაზე მეტად იქ მყოფ საზოგადოებას ლორი მოეწონა, რომელიც ორი კვირის წინ ამოეღოთ საკვამურიდან, სადაც 50 დღის განმავლობაში იბოლებოდა. საღამო დასრულდა და სტუმრები სახლში წავიდნენ. დილით 20 სახლში ერთდროულად გამოიძახეს ორი ადგილობრივი ექიმი.

ყველა პაციენტი მსგავს სიმპტომებს – დიარეას და ღებინებას უჩიოდა. ზოგიერთს მტკივნეული შარდვაც აწუხებდა. ცოტა მოგვიანებით, ყველა პაციენტს სხვა პრობლემაც დაემა-



ემილი ვან ერმენგემი

ტა – მხედველობის გაორება და ქუთუთოების დამძიმება. რამდენიმე ავადმყოფს პირის სიმშრალეც აწუხებდა. მიუხედავად ამისა, წყლის დალევა არ შეეძლოთ. პირველი ყლუპის შემდეგ, ფაქტობრივად, იხრჩობოდნენ და სითხე ცხვირიდან იღვრებოდა...

ცხადი გახდა, რომ სტუმრები რაღაცით მოიწამლნენ, მაგრამ დაავადების სურათი ძალიან უცნაური იყო. ექიმებმა მათ ვერაფერი უშველეს. სულ რაღაც ერთ კვირაში სამი პაციენტი მტკივნეული სიკვდილით გარდაიცვალა. დეტექტივები ქალაქიდან ელსელში ჩამოვიდნენ და ადგილობრივი მცხოვრებლები გამოჰკითხეს. მერიის თანამშრომელმა მათ უთხრა, რომ მასობრივი მკვლელობა მოხდა. სავარაუდოდ, ყველაფერში დამნაშავე გარდაცვლილის ერთ-ერთი მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, რომელმაც კონკურენტების მოშორება გადაწყვიტა.

გამომძიებლები თავიანთ საქმეს პროფესიონალურად ეპყრობოდნენ და ჭორებს არ დაუჯერეს. ისინი დაუკავშირდნენ მიკრობიოლოგ ემილ ვან ერმენგემს, ნაწლავური ინფექციების სპეციალისტს. პროფესორმა გამოიკვლია ლორის ნიმუშები, რომელსაც ყველა ავადმყოფი ჭამდა. გარდა ამისა, მან გაკვეთა გარდაცვლილები და მიკროსკოპით გამოიკვლია მათი ელენთა და ღვიძლი.

### ბოტულიზმის გამომწვევი
### Clostridium botulinum

**ექიმმა** ვან ერმენგემმა ანაერობული (ორგანიზმები, რომლებსაც სიცოცხლე და განვითარება გარემოში თავისუფალი ჟანგბადის არარსებობის პირობებში შეუძლიათ) ბაქტერია **Clostridium botulinum** აღმოაჩინა. ნარჩენები წარმოუდგენლად ტოქსიკური იყო. კურდღელი, რომელსაც ამ ტოქსინის მხოლოდ 0,0005 მილიგრამი გაუკეთეს, დაიღუპა. მეცნიერმა, ასევე, გაარკვია, რომ გარდაიცვალნენ ისინი, ვინც 200 გრამზე მეტი ლორი ჭამა, დანარჩენებმა ნელ-ნელა გამოჯანმრთელება დაიწყეს, მაგრამ გონზე მოსვლას, დაახლოებით, 6 თვე დასჭირდა.

ერმენგემმა მოწამვლის სრული სურათიც დაადგინა. ღორის ხორცს შებოლვამდე კასრებში ამარილებდნენ. მის ნაჭრებს ფენებად აწყობდნენ და ავსებდნენ მცირე რაოდენობით მარილიანი წყლით. იგი მხოლოდ ქვედა ნაწილებს ფარავდა. ასე რომ, სასიკვდილო ბაქტერიები, ჟანგბადის გარეშე, სწორედ მათში განვითარდა.

* * *

**ცოტამ თუ იცის,** მაგრამ გაფუჭებულმა ლორმა მსოფლიოს პოპულარული ლიტერატურული გმირი აჩუქა. მოწამვლის ამბავი გაზეთებში მოხვდა და ამის შესახებ მწერალმა აგათა კრისტიმ შეიტყო. მან დაწერა მოთხრობა „შოკოლადის ყუთი“, რომლის მთავარი გმირი დეტექტივი ერკიულ პუარო იყო, ხოლო ბრწყინვალე დეტექტივის პროტოტიპი, ცხადია – ექიმი ემილი ვან ერმენგემი.



ერკიულ პუარო

აგათა კრისტიმ პუაროს დაბადების ადგილად სწორედ სოფელი ელსელი აქცია, სადაც მასობრივი მოწამვლა მოხდა. გმირი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ შემდეგ მწერლის შემოქმედების მთავარი გმირიც გახდა. მალე იგი ისეთივე ცნობილი იყო მთელ მსოფლიოში, როგორც მისი ბრიტანელი კოლეგა, კონან დოილის მიერ გამოგონილი შერლოკ ჰოლმსი.

## ხსოვნა

# ქეთევან კიკნაძე გარდაიცვალა



85 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი მსახიობი **ქეთევან კიკნაძე.** ამის შესახებ ინფორმაციას ოჯახის წევრები ადასტურებენ.

ქეთევან კიკნაძე დაიბადა 1939 წელს, ქალაქ ბორჯომში. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი 1959 წელს. ამავე წლიდან 1967 წლამდე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია, ხოლო 1967 წლიდან 1977 წლამდე რუსთაველის თეატრში მოღვაწეობდა. 1977 წლიდან კი კვლავ მარჯანიშვილის თეატრში ბრუნდება. ქეთევან კიკნაძე გადაღებულია 16-ზე მეტ მხატვრულ სატელევიზიო ფილმსა და სერიალში.

* * *

**ქეთევან კიკნაძის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოხატეს და ოჯახს მიუსამძიმრეს საქართველოს პრემიერმა ირაკლი კობახიძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ.**




# შშმ პირი გააუპატიურეს! ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

ქედის მუნიციპალიტეტში 35 წლის შშმ პირის გაუპატიურების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროში დაგვიდასტურეს.

უწყების ცნობით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

# ქურდული სამყაროს წარმომადგენლები „ლილო მოლის“ მეწარმეებს თანხებს სძალავდნენ!

**თბილისის** საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ,,ქურდული სამყაროს“ წევრობასა და ,,ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერაში ბრალდებული 2 პირი დამნაშავედ ცნო, – შესაბამის ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.



**“სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ,,ქურდული სამყაროს“ წევრი, ,,ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდამჭერ პირთა მეშვეობით, უკავშირდებოდა სხვადასხვა, ძირითადად ,,ლილო მოლის“ ტერიტორიაზე დასაქმებულ მეწარმეებს, რომელთაც უწყობდა ,,ქურდულ გარჩევებს“ და აიძულებდა ე.წ. ,,ქურდულ საერთოში“ დიდი ოდენობით თანხები შეეტანათ. მუქარის რეალურად აღქმის მიზნით, ერთ-ერთ დაზარალებულს ავტომობილი დაუწვეს, ხოლო კიდევ ერთი დაზარალებულის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელეს.**

**პროკურატურამ ერთ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223’-ე მუხლის პირველი ნაწილით („ქურდული სამყაროს“ წევრობა), ხოლო ორ პირს 223-ე მუხლის მე-2 ნაწილით (,,ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა) წარუდგინა.**

**სასამართლომ ,,ქურდული სამყაროს“ წევრობაში ბრალდებულს სასჯელის სახით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ,,ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერაში ბრალდებულ ერთ პირს 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. რაც შეეხება ,,ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერაში ბრალდებულ კიდევ 1 პირს სასამართლომ ის წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა. დასაბუთებული განაჩენის მიღების შემდგომ, პროკურატურა სასამართლოს გადაწყვეტილებას აღნიშნულ პირთან დაკავშირებით სააპელაციო წესით გაასაჩივრებს.**

**პროკურატურა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე, დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს, რასაც მომავალშიც გააგრძელებს“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ისევ უკანონოდ მოქმედი კრიპტოვალუტის გადამცვლელი ობიექტი!!!

საგამოძიებო სამსახურმა უკანონოდ მოქმედი კრიპტოვალუტის გადამცვლელი ობიექტი გამოავლინა და ერთი პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო.



გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებული, კრიპტოვალუტის გადამცვლელი ობიექტიდან, საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეგისტრაციის გარეშე ახორციელებდა სხვადასხვა კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის გაცვლას, სხვადასხვა ვალუტაში, რის შედეგადაც, საკომისიოს სახით იღებდა დიდი ოდენობით შემოსავალს.

ამოღებულია დიდი ოდენობით ნაღდი ფული და კრიპტოვალუტა, ასევე კომპიუტერული ტექნიკა.

დანაშაული 3 წლამდე პატიმრობას გულისხმობს.

## ყურადღება, კონკურსი!

### გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში

**საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით (დევიზი უნდა მიეთითოს როგორც კონვერტზე, ასევე შიგთავსზე).**



ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო ლექსები, მეორე კონვერტით – ავტორის გვარი და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების სათაურები (როგორც კონვერტზე, ასევე ლექსებზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს წევრებისა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

**დაწესებულია პრემიები:**

**პირველი პრემია – 1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;**

**მეორე პრემია – 1000 ლარი – კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;**

**მესამე პრემია – 600 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან;**

**მეოთხე პრემია – 400 ლარი – თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან.**

საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები არა უმეტეს ხუთისა, ნაბეჭდი ფორმით.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე.“

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

**0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა N3. გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.**

## გიორგი მამარდაშვილი Kazbegi Residence-ის მომავალი მობინადრე გახდა




**კომპანია X2 Development-მა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და ყველასთვის საყვარელ ფეხბურთელს გიორგი მამარდაშვილს საბურთალოზე, Kazbegi Residence პრემიუმ კლასის საცხოვრებელი კომპლექსის ბინა აჩუქა.**

Kazbegi Residence პრემიუმ კლასის საცხოვრებელი კომპლექსია საბურთალოზე, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მოსახერხებელი ადგილმდებარეობით, სავაჭრო ცენტრ „სითი მოლი“-დან 3 წუთის სავალ გზაზე.

Kazbegi Residence-ის პროექტში, ყველაფერია მობინადრეთა კომფორტისათვის: 1000 კვ.მ. რეკრეაციული ზონა, საბავშვო და სპორტული მოედნები, 2-დონიანი ავტოსადგომი ელ. დამტენებით, კომერციული და საოფისე ფართები, საერთო სამუშაო სივრცე, 24-საათიანი დაცვა და კონსიერჟის მომსახურება.

საჩუქრების სია ბინით არ ამოწურულა. ჩვენი ქვეყნის „გაუვალ კლდეს“ Betlive-მა ახალთახალი ავტომობილი BMW M4 Competition აჩუქა!

## საქართველოს სახალხო არტისტის ილია ზაქაიძის დღე დუშეთში

**დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, ქ. დუშეთში საქართველოს სახალხო არტისტის ილია ზაქაიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ სოლო კონცერტი.**

კონცერტის დაწყებამდე, ქ. დუშეთის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოძღვარმა მამა გრიგოლმა (მგელიაშვილი) მომღერლის საფლავზე სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ღონისძიებას შეკრებილ საზოგადოებასთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მაცაცო ნარიმანიძე და მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძე.



მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი ილია ზაქაიძე 1924 წლის 7 ივლისს ქალაქ დუშეთში დაიბადა. მას მიღებული აქვს უამრავი ჯილდო, მათ შორის ღირსების ორდენი და საპატიო სიგელები.

ილია ზაქაიძისა და როსტომ საგინაშვილის მიერ ერთად შესრულებული სიმღერა „ჩაკრულო“ 1977 წელს „ნასამ“ კოსმოსში გაგზავნა.

## ჩემპიონს ქუთათურები წარმატებული სპექტაკლით დახვდნენ



**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში უმასპინძლა მირანდა კაპანაძეს, პირველ ქართველ ქალ მოჭიდავეს (57 კგ), რომელმაც 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონობა იზეიმა.**

ქუთაისის თეატრი ქართველ ევროპის ჩემპიონს, რომელიც ჭიათურიდანაა, თავისი ბოლო დროის ყველაზე წარმატებული სპექტაკლით – „ჰელვერის ღამით“ დახვდა. სპექტაკლის რეჟისორია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი თავაძე. „ჰელვერის ღამით“ თეატრალური სეზონი დაიხურა.

მნიშვნელოვანია, რომ აქამდე საქართველოს ქალ მოჭიდავეთა არც ეროვნულ და არც რომელიმე ასაკობრივ ნაკრებს ამ რანგის შეჯიბრებაში ჩემპიონი არ ჰყოლია და ასეთ წარმატებას მირანდა კაპანაძემ მიაღწია. საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა სპორტსმენს გამარჯვება მიულოცა და წარმატება უსურვა.

ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ კულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები, რომლებმაც ევროპის ჩემპიონს წარმატება მიულოცეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

## დღეს თეატრი-სახელოსნო 42-ში ლევან წულაძის სპექტაკლის „1921-1924“-ის პრემიერაა!

**„ჩვენ დიდ პროცესში მომხდარი პატარა ბედისწერები ვართ“,** — ასე აფასებს ლევან წულაძე ქვეყნის მდგომარეობას თავის ახალ სპექტაკლზე საუბრისას, რომლის პრემიერაც 10 ივლისს თეატრი-სახელოსნო 42-ში გაიმართება. სპექტაკლში იმ აჩრდილებზე საუბარია, რომლებიც რეჟისორს ბავშვობიდან მოჰყვება და მასშია. ახლა კი მათი გამოშვებისა და გათავისუფლების დროა.

სპექტაკლი არ არის ისტორიულ ქრონიკებზე, არამედ ადამიანების იმ ბედ-იღბალზე, რომელიც საქართველოს გასაბჭოების ფონზე განვითარდა.



**„ზოგადად, კარგი და ცუდი სპექტაკლი ფასდება მაყურებლის სუნთქვით. ხუთი წუთიც საკმარისია, ყური დაუგდო და გაიგონო, არის თუ არა მსახიობებსა და მაყურებელს შორის ჰარმონიული სუნთქვა“,** – ამბობს რეჟისორი.

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7399; ევრო - 2.9670;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5123;
100 რუბლი - 3.1014; თურქული ლირა - 0.0838;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6113;
1000 სომხური დრამი - 7.0616.

### ამინდი 10 ივლისისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე +37 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე +35 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +38 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე | +22, | დღე +37 |

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 12 ივლისს**